# საერთო გაზეთი

№7 (688)
ოთხშაბათი
1 მარტი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


## განგაში



კაცს, რომელსაც ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო, მისი აშენებული სამშობლოდან უპირებენ განდევნას?

**სახელდაკარგულმა ევროპამ არ იცის, რა აკეთოს**

## ქართველთა „დავით წინასწარმეტყველი“ მსოფლიოს მშვიდობისკენ მოუწოდებს

დავით გურამიშვილის გადმოსვენება იქცევა მთელი ქართველი ერის, მისი სასულიერო და საერო ხელისუფლების ეროვნული ჭირისუფლობის ერთიან ძალისხმევად: თქვენი ლოცვა-კურთხევით, ქართული სული წარუძღვება აღსრულებად ორ ანდერძს დავით გურამიშვილისას: პირველი ანდერძის - **„გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენკერძ დამმარხეო“** და მეორე ანდერძის – როგორც ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხისადმი დანატოვარს: რომ მარადჟამ იდგნენ ისინი ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისადმი მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით, როგორც ეს სიმბოლურად განხორციელდა მის პირად ცხოვრებაში.



# „და მე ვმღერი: – აფხაზეთი ჩემი“!





## რამაზ საყვარელიძე:

**ახალი სატრანზიტო დერეფანი ევროპისთვის საქართველოს ფასს გაზრდის**

დასავლეთისკენ ჩვენი სწრაფვა გორგასლის პერიოდიდან იწყება. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანმა დიდი გზა განვლო, რათა ევროპისთვის მიეწვდინა ხმა

## დიმა ლორთქიფანიძე:

**ზელენსკი პრეზიდენტის როლს დასავლეთის მიერ დაწერილი სცენარით თამაშობს**

ტაქტიკური ბირთვული იარაღის აფეთქებების სერია უკვე გლობალური მესამე მსოფლიო ომის მომასწავებელი იქნება





## მერაბ შათირიშვილი:

**მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი ყველას საკადრის პასუხს გასცემს...**

უკრაინელი დეზერტირები, რომლებიც საკუთარ სამშობლოში უნდა იყვნენ, აქ ნებივრობენ და ომში ჩართვისკენ მოგვიწოდებენ

## გვახსოვს, გვახსოვს და ვერასდროს დავივიწყებთ იმ დაწყევლილ ცხრა წელიწადს

## ყელამდე „ქაქში“ ჩაფლული ევროპარლამენტართა ვნებანი

## ტექნიკური რეორგანიზაციის გამო „საერთო გაზეთის“ მომდევნო ნომერი გამოვა 15 მარტს



კობა არაბული

# განგაში

## კაცს, რომელსაც ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო, მისი აშენებული სამშობლოდან უპირებენ განდევნას?

მკაფიოდ უნდა ვთქვათ, რომ აღმაშფოთებელია ის გარემოება, რასაც ქართველი ნაცები და ევროლიბერასტები ლამობენ: სანქციები დაუწესონ კაცს, ქართული კულტურისა და პოლიტიკის ბრწყინვალე მესვეურს, ერის ქომაგსა და მეცენატს, მეოხს ავადმყოფთა და დავრდომილთა...

პიროვნებას, რომელმაც პროკრუსტეს სარეცელიდან ააყენა და სააკაშვილის მორგებიდან გამოიყვანა განწირული ერი...

ქართველი ერი და მსოფლიო კულტურული საზოგადოება მას, ბიძინა ივანიშვილს, ამ სრულიად უნიკალურ ფენომენს, ძეგლს უნდა უდგამდეს და ნობელის პრემიას გადასცემდეს ომით დანგრეულ ოკუპირებულ ქვეყანაში მშვიდობის აღდგინებისთვის და ქვეყნის შიგნით საზოგადოებრივი შემწყნარებლობისა და ოპოზიციური ექსტრემიზმის ერთგვარი ჰუმანიზაციისთვის.

მას ნობელის პრემიას უნდა გადასცემდეს მსოფლიო საკუთარი სახსრებით ურიცხვი ეკლესია-მონასტრის, კულტურის კერების, მუზეუმების, კინოთეატრების, სკოლებისა და უნივერსიტეტების რეაბილიტაციისა და მშენებლობისთვის, ზოგადად, ისტორიული ცივილიზაციის დაცვისთვის.

ურიცხვი გაჭირვებულისთვის: ხელოვანისთვის, მეცნიერისთვის, საერო მოღვაწისთვის საარსებო სახსრის გაჩენისთვის, მრავალი მძიმე ავადმყოფის მკურნალობისთვის...

მას ქართველი ერი და მსოფლიო უნდა უდგამდეს ძეგლს და გადასცემდეს ნობელის პრემიას, როგორც უნიკალურ მოვლენას ქართველი ერის ისტორიაში მსოფლიოს მეცენატთა სივრცეში საქველო, კეთილშობილი, უანგარო საქმეებისთვის.

ესენი კი, ეს ევროლიბერასტები, ქართველი ნაციონალი ავაზაკების კარნახით, მისთვის საკუთარ სამშობლოში სანქციების დაწესებას ლამობენ, ძალადობენ, სამშობლოდან მის განდევნას ცდილობენ.

ეს არის ქართველი ერის, მისი კულტურის, მისი მორალური და ნებელობითი სახის წაშლა და შეურაცხყოფა. ეს არის ევროლიბერასტების ომის ფორმა ქართველთა ღირსებისა და მენტალობის წინააღმდეგ.

●

მე მეგონა, მეცნიერები ხმას ამოიღებდნენ ამაზე და თამაზ წივწივაძის საღამო საბაბი იქნებოდა პროტესტისთვის. სხვა რა დარჩა აკადემიის საქმედ, სააკაშვილმა უუფლებო პენსიონერთა პანთეონად რომ აქცია, გარდა სიტყვის თქმისა და ხმის ამოღების...

განა ასე იქცეოდნენ არანაკლებ რთულ დროში XIX საუკუნის სწავლულნი, მწერალნი და მეცნიერნი (თუნდაც ივანე ჯავახიშვილი)?

ილია ჭავჭავაძემ და თითზე ჩამოსათვლელმა ხუთიოდე მწერალმა გადაარჩინა XIX საუკუნის საქართველო და დღესაც იმ ინერციით მოვდივართ.

●

კავშირის წევრი 1000 მწერალი დუმს დღეს და არიან რაღაც ქონების ნარჩენების ქირავნობა-გაქირავების და ფარატინა ქაღალდების ფრიალის გაწამაწიაში...

მარტო „ასავალ-დასავალისა“ და „საერთო გაზეთის“ და მხოლოდ მათი რამდენიმე ჟურნალისტისა და სამიოდე მწერლის ღალა-



დისი უშველის ქვეყანას? უმორალო უდაბნოს დუმილს და ციხის გამტეხთა ღალატის ფსიქოლოგიას?

●

ინდოევროპელებმა ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში დროგებით გადაუარეს იბერიას აზიიდან ევროპამდე. კავკასიაში გადარჩენილ იბერებს ახლა, XXI საუკუნეში, თავიდან მოგვიბრუნდნენ, როგორც „ცივილიზებული“ კლონირებული ბარბაროსები.

მოგვიბრუნდნენ მორალზე მოძალადე მენტორებად და მენტალობის წასართმევად...

ისმის კითხვა: მაინცდამაინც რატომ უნდა იყოს ასპირანტი, ან ვიღაცის აბიტურიენტი, უძველესი კულტურის, დამწერლობის, ანუ რუსთველისა და ფარნავაზის ერი ლიბერასტი ფსევდოდემოკრატი კოლონიალისტების მონა და მორჩილი?!

რაც ახლა ხდება, ეს არის ევროლიბერასტების მონღოლოიდური იერიში საქართველოზე...

ეს არის XXI საუკუნის კრწანისი თავისი მოღალატეებით, შიდა (ჩვენი „საკუთარი“) ბერძენიშვილ-ასატრიანცების და გარე — ევროპარლამენტარი ვამპირი დეპუტატებით...

რა უნდათ, რას გვკარნახობენ? ანუ, შოთა რუსთველისა არ იყოს: „რა უთქვამთ, რა მოუჩმახავთ“, რა ჭორი მოუწერიათ?!

რას გვიწესებენ, რას გვიდგენენ ამ აღმაშფოთებელი დადგენილებით, ევროპარლამენტარი ლიბერასტები?

რატომღაც ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივს რომ გვტენიან — სააკაშვილების, გვარამიების და მათთანათა გათავისუფლების მოთხოვნით?! რუსეთ-უკრაინის ომში ჩათრევას გვაძალებენ. ეს არის მათი პოლიტიკის ღია და ფარული ქვეტექსტი — მათი ბარბაროსული ამოცანა.

ისინი, ევროპარლამენტარები, ამ დადგენილებით, საკუთარ ქვეყანაში ყოფნისთვის, ერის მკვდრეთით აღდგინებისთვის, ანუ სააკაშვილის ტირანიისგან გამოხსნისთვის, სანქციებს უწესებენ ივანიშვილს. ფაქტობრივად, სამშობლოდან აძევებენ ავადმყოფთა და გაჭირვებულთა მეოხს, ერის ქომაგს, ისტორიული კულტურის აღმდგენს და ტაძართა აღმშენებელ კაცს?! ანუ, ევროპარლამენტარები ნაცისტი-ექსტრემისტების ნარატივს გვთავაზობენ საკუთარ თეზისებად. სად მივყავართ ევროპას — სრულიად უმორალო ფსევდოსამართლებრივ სივრცეში? სრულიად დაუცველ გარემოში?

●

ევროპარლამენტარების დადგენილებით მკვეთრად გამოჩნდა, როგორ ებრძვიან ისინი აქ, ჩვენს ქვეყანაში, პიროვნებათა ღირსებას და ჩვენს კონსტიტუციას, როგორ გავყავართ სამართლებრივი სივრციდან და როგორ თავხედურად გვაძალებენ ჯალათი ტერორისტების გათავისუფლებას პასუხისმგებლობისგან, ღიად გვიქადაგებენ ხელისუფლების ჩამოგდებას.

ჩვენ თუ ამას მოვითმენთ, მართლაც „ფურთხის ღირსი“ ვიქნებით.

როცა ევროპამ ნაციონალი ექსტრემისტების ნარატივი „თეზისების“ სახით შემოგვთავაზა, ეს იმის მაუწყებელია, რომ მიმდინარეობს მსოფლიოს ზნეობრივი და სამართლებრივი ნგრევის პროცესი.

ეტყობა, სახედაკარგულმა ევროპამ არ იცის, რა აკეთოს.

სად მივილტვით ჩვენ და რას გვაძლევს კანდიდატის სტატუსი, ანუ რის სანაცვლოდ უნდა მოგვეცეს ის? — სამართლის, სინდისის, ეროვნული მენტალობის თუ სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ხარჯზე?..

XXI საუკუნის ფატალური დრო ერთდროულად გვიქადის სახელმწიფოებრივი და მორალური სახის წაშლას...

უკრაინა-ზელენსკის ნაცისტური ჯგუფი პირდაპირ მონაწილეობს საქართველოს ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების „პროცედურის“ შემუშავებაში, ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის ჩაშლაში...

ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ომი — მისი ქონების დაყადაღება, მისი გაყვანა ევროპული სივრციდან, ერის ნგრევას და ქართული სახელმწიფოსთვის ნიადაგის გამოცლას გულისხმობს.

მან საკუთარი სამშობლოსთვის გააკეთა თითქმის შეუძლებელი საკუთარი სიცოცხლის, საკუთარი ოჯახისა და მატერიალური სივრცის — ხიფათის ხარჯზე.

ივანიშვილმა სრულიად გაჩანაგებულ, ტერიტორიებდაკარგულ, დატერორებულ, სულიერი და კულტურული ნანგრევებიდან 8 წელიწადში ააწყო ქვეყანა და მისცა მშვიდობა.

ახლა მისი ნაქველმოქმედარი, ნაქმნარი და ნაღვაწი ერთი წამით ვირტუალურად რომ მოვშალოთ და წავართვათ ამ ქვეყანას, აღმოვჩნდებით ცაში ჩამოკიდებული, გამომშრალი თევზებივით, სული რომ არ უდგას...

აქ ყოველი ტაძარი, ყოველი მუზეუმი, ყოველი ინსტიტუტი, ბაღები და შენობა-ნაგებობანი მისი მადლიანი ნიჭით, ხელით, მისი მამულიშვილური სულით არის დატვირთული და აღბეჭდილი.

არასოდეს, არც რომელიმე დროში და ქვეყანაში, არც რომელიმე მოღვაწეს და ქველმოქმედს, გინდა ბიზნესმენს და ოლიგარქს, არ უკეთებია ამდენი საერო და სახელმწიფო საქმენი ყოველგვარი ანგარების გარეშე, ჩუმად და უსიტყვოდ.

კაცმა რ იცოდა, ვინ აშენებდა XXI საუკუნის „სვეტიცხოველს“ — სამების დიდებულ ტაძარს.

ეს მოგვიანებით გამოჩნდა. ასე იყო ყოველთვის, ბიძინა ივანიშვილის მიერ ნაკეთები კეთილი საქმეების შესახებ ყოველთვის პოსტფაქტუმ ვიგებდით.

საქართველოსთვის ახალი ომის არიდება ყველაზე დიდი ნაღვაწია მისი. ამ უნიჭიერესი პოლიტიკური მოღვაწის სიბრძნემ და ირაკლი ღარიბაშვილის ქველობამ გადაარჩინა ქართველი ერი და სახელმწიფო კატასტროფისაგან.

აი, ამას ვერ გვპატიობენ.

აი, ამიტომ გვიწესებენ სანქციებს.

დაშლილი, დანგრეული, ქართა სათარეშო საქართველო ურჩევნია ყველას — ეს კარგად გამოჩნდა საიდუმლო მაისის „იდებში“.

ამიტომ ყველა ჩვენგანი, ყველა ქართველი მოქალაქე მამულიშვილი, მით უფრო, მწერალი და მეცნიერი, ვალდებულია, „მეხამრიდის“ ფუნქცია შეასრულოს, თორემ ჩვენი გადარჩენა XXI საუკუნეში ადვილი არ იქნება.

●

ჩვენ გამოვიარეთ სემიტური, ინდოევროპული, რომაული, სპარსულ-ოსმალური, მონღოლური, რუსული „ბომონების“ ეპოქა და ეპიდემიები.

მონებად არ ვქცეულვართ.

ახლა სულ სხვა „ბომონი“ და სფინქსი გამოგვიჩნდა ფსევდოდემოკრატიისა და ლიბერალიზმის „ნომრით“.

პათეტიკურად ვიტყვი: არავითარი სხვა მოვალეობა და მისია არ გაგვაჩნია — ყოველ ჩვენგანს, უბრალო პატრიოტ მოქალაქეს, გარდა სამშობლოს დაცვისა და ერის მენტალობის ძლივს შეკოწიწებული სახელმწიფოებრიობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა...

●

ევროპას ჩვენთვის არაერთხელ უთქვამს უარი:

მან უარი უთხრა სულხან-საბას;

უარი უთხრა ერეკლე II-ს;

უარი უთხრა ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

და, შესაძლოა, ეს უარი კარგიც იყოს და მეტი თავისუფლება მოგვანიჭოს.

**„სგ“ N21. 2021 წ.**

# ნინო გიორგობიანი: ორი წლის განმავლობაში პრემიერმა საქმით დაამტკიცა, რომ ქვეყანას ემსახურება



დღეს ორი წელი გავიდა, რაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე პარლამენტმა დაამტკიცა. ორი წლის განმავლობაში კი პრემიერმა საქმით დაამტკიცა, რომ ქვეყანას ემსახურება, – ამის შესახებ მთავრობის სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნინო გიორგობიანი Facebook-ზე წერს:

„დღესაც და ხვალაც მე ყოველთვის, ყველგან ვიმოქმედებ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის ინტერესების შესაბამისად და ამ გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებს,“ – პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

ეს განცხადება, რომელიც პრემიერმა ერთ-ერთი ღონისძიების დროს გააკეთა, ყველას კარგად დაგვამახსოვრდა და ვთვლი, რომ მის დამოკიდებულებას ქვეყნისადმი ყველაზე კარგად გამოხატავს.

დღეს ორი წელი გავიდა, რაც ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრის პოსტზე პარლამენტმა დაამტკიცა. ორი წლის განმავლობაში კი პრემიერმა საქმით დაამტკიცა, რომ ქვეყანას ემსახურება.

მოკლედ მინდა შეგახსენოთ, მხოლოდ სოციალური პოლიტიკის მიმართულებით რა ნაბიჯები გადაიდგა:

გაზრდილი ხელფასები, პენსიები და სოციალური დახმარებები. ძალოვნებს ჯამში ხელფასი გაეზარდათ 30%-ით, საჯარო მოხელეებს 20%.-ით.

სოციალურად დაუცველ ბავშვებს 200-ლარიანი დახმარება დაენიშნათ – ჯამში 500 მილიონი ლარი გამოიყო.

გაიაფდა მედიკამენტები: თურქეთის ბაზრის გახსნამ წამლები 60-დან 80%- ით გააიაფა, რის შედეგადაც მოსახლეობას 200 მილიონი ლარი დაეზოგება.

მედიკამენტებზე ამოქმედდა რეფერენტული ფასები. 800-ზე მეტი ქრონიკული და ონკოლოგიური მედიკამენტი კიდევ საშუალოდ 40%-ით გაიაფდება.

ეს ყველაფერი არის სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგი, ზედიზედ ორჯერ ქვეყანას ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს.

2022 წელს ტურიზმიდან რეკორდული შემოსავლები იყო – 3 მილიარდ 517 მილიონი აშშ დოლარი, რამაც პანდემიამდელ – 2019 წლის მონაცემს გადააჭარბა.

უმუშევრობა და სიღარიბე ისტორიულ მინიმუმზეა.

აქტიურ ფაზაშია პროგრამა „განახლებული რეგიონები“ – რომელიც 63-ივე მუნიციპალიტეტს მოიცავს, პირველ ეტაპზე იხარჯება დაახლოებით 500 მილიონი ლარი. ხორციელდება უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი – სკოლების და ბაღების, სოფლის გზებისა თუ ავტობანების მშენებლობა.

ისტორიული პროექტების დაწყებაც სწორედ ირაკლი ღარიბაშვილის სახელს უკავშირდება: შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროენერგიის გადამცემი კაბელის მშენებლობის პროექტი და ანაკლიის პორტთან დაკავშირებით მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება – პორტის 51% სახელმწიფოს კუთვნილება იქნება და სამუშაოები წელსვე დაიწყება.

საქართველოში არსებული ეკონომიკური წარმატება, სტაბილურობა და წინსვლა არის ერთ-ერთი მთავრი თემა, რაზეც პრემიერი საერთაშორისო ვიზიტების დროს პარტნიორებთან საუბრობს: აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნებში, აზიასა და არაბულ ქვეყნებში, მონაწილეობს მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაში, დავოსის ეკონომიკურ ფორუმში და გაერო-ს გენერალურ ასამბლეის დებატებში. ამავდროულად, მაღალი დონის სტუმრებს საქართველოში მასპინძლობს. ავსტრიის კანცლერ კარლ ნეჰამერს, ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის, აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს, სომხეთის პრემიერ-მინისტრ ნიკოლ ფაშინიანს.

ბოლოსკენ რომ შევაჯამო, მოკლე რეზიუმე – დღეს ქვეყანაში არის პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა, ირაკლი ღარიბაშვილმა ქვეყანა ჩაიბარა მინუსიანი ეკონომიკით, ბიუჯეტის დეფიციტით 9,3%, მშპ 50 მლრდ, ხოლო 2 წლის მუშაობის შედეგად – 2023 წლის ბოლოს მშპ – 80 მლრდ ლარი, მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 8 000 დოლარზე მეტი იქნება, ლარი დასტაბილურდა. 2 წელი ზედიზედ ორნიშნა, 10%-იანი ეკონომიკური ზრდაა,“ – წერს ნინო გიორგობიანი.

„საერთო გაზეთი“ ულოცავს დაბადების დღეს თბილისის მერს — კახა კალაძეს, ღირსეულ ადამიანს, წარმატებულ სპორტსმენსა და პოლიტიკოსს.

კახა კალაძე მისაბაძი ადამიანია — იგი მრავალშვილიანი მამაა და სამშობლოს ოთხ ვაჟკაცს უზრდის.

კახა კალაძემ, როგორც ფეხბურთელმა, ქართველ და მსოფლიო გულშემატკივარს უამრავი მღელვარე მატჩი აჩუქა. ის პირველი ქართველი ფეხბურთელია, რომელიც საფეხბურთო ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული გახდა.

კახა კალაძემ, როგორც თბილისის მერმა, არაერთი პროექტი განახორციელა ქალაქში და მისი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად შეცვალა.

ვულოცავთ კახა კალაძეს დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ოჯახის სიკეთეს და წარმატებებს მის რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

„საერთო გაზეთი“





# ირაკლი ღარიბაშვილის შეხვედრები ახალდანიშნულ საქართველოს ელჩებთან

მთავრობის მეთაურმა ნორვეგიის სამეფოში დანიშნულ დიპლომატს ზურაბ ბერიძეს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და ნორვეგიის სამეფოს შორის მჭიდრო მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს, რომელიც მზარდი დინამიკით გამოირჩევა. ითქვა, რომ ორმხრივი ურთიერთობები მოიცავს თანამშრომლობის ფართო სპექტრს, მათ შორის, პოლიტიკის, ეკონომიკის, თავდაცვის, განათლებისა და კულტურის სფეროებს და სამომავლოდ ამ ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად ინტენსიფიკაციის იმედი გამოითქვა.

ზურაბ ბერიძეს აქვს მრავალწლიანი დიპლომატიური გამოცდილება, იყო არაერთ ქვეყანაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ამასთან, სხვადასხვა წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს ახლადდანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, თეა მაისურაძეს შეხვდა.

პრემიერმა დიპლომატს ახალ პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა.

აღინიშნა, რომ საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკას შორის ორმხრივი ურთიერთობები დინამიურად ვითარდება როგორც ორმხრივ ფორმატში, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში. ხაზი გაესვა თანამშრომლობას ეკონომიკის, ენერგეტიკის, ტურიზმის და განათლების სფეროებში და სამომავლოდ, ამ ურთიერთობების წარმატებით განვითარების იმედი გამოითქვა.

თეა მაისურაძე 2009 წლიდან მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე. იყო ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. ფლობს ინგლისურ, რუსულ და გერმანულ ენებს.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, საქართველოს ახლადდანიშნულ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს პოლონეთის რესპუბლიკაში დიანა ჟღენტს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა მას ელჩის პოზიციაზე დანიშვნა მიულოცა და წარმატებები უსურვა. თავის მხრივ, დიანა ჟღენტმა პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს.

დიანა ჟღენტი ნიუ-იორკში, საქართველოს გენერალური კონსულის თანამდებობას იკავებდა. ასევე, ხელმძღვანელობდა ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს საკონსულო სამსახურს. დიანა ჟღენტს აქვს მრავალწლიანი გამოცდილება, იგი საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობდა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ლატვიის რესპუბლიკაში ახლადდანიშნულ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ირაკლი ყურაშვილს შეხვდა.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე საქართველოსა და ლატვიის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები მიმოიხილეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ირაკლი ყურაშვილს ახალ თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და მომავალ საქმიანობაში წარმატება უსურვა.

თავის მხრივ, ირაკლი ყურაშვილმა პრემიერ-მინისტრს გამოცხადებული ნდობისთვის მადლობა გადაუხადა.

ირაკლი იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი შვეიცარიის კონფედერაციასა და არგენტინის რესპუბლიკაში. ლატვიის რესპუბლიკაში ელჩად დანიშვნამდე ირაკლი ყურაშვილს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირის გენერალური დირექტორატის გენერალური დირექტორის თანამდებობა ეკავა.

# ზელენსკი პრეზიდენტის როლს დასავლეთის მიერ დაწერილი სცენარით თამაშობს, თან – ძალიან კარგად

**რა ვითარებაა რუსეთ-უკრაინის ომის ერთი წლის თავზე, ანადგურებს თუ არა ზელენსკი რუსულ ურდოს წარმატებით? ასევე, ბაიდენის კიევსა და ვარშავაში ვიზიტებისა და მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე**



— სამხედრო სპეცოპერაცია, რომელიც, შესაძლოა, მესამე მსოფლიო ომში გადაიზარდოს, მთელი კაცობრიობისთვის უდიდესი ტრაგედიაა. ამ ომმა უკრაინის სახელმწიფოს, ხალხს, განაჩენი უკვე გამოუტანა. ქვეყნისთვის მიყენებულ ზიანზე საუბრისგან გლობალური დასავლეთი თავს იკავებს. სახეზეა მხოლოდ ომის რიტორიკა და ესკალაციისკენ მოწოდება. ერთი განცხადება მაინც თუ გსმენიათ გაეროს ტრიბუნიდან იმის შესახებ, რომ მხარეები უნდა დაზავდნენ და ომი შეწყდეს. ან რომელიმე ზესახელმწიფოს ლიდერისგან თუ გაგიგონიათ, რომ ომის გაგრძელების თავიდან აცილების ერთადერთი გამოსავალი სამშვიდობო მოლაპარაკებაა, თუნდაც, მინსკი-1-ის და მინსკი-2-ის შეთანხმების კონტექსტში, რომელიც აღიარებული იყო არა მხოლოდ საფრანგეთის, გერმანიის, ბელორუსის, რუსეთისა და უკრაინის, არამედ გაეროსა და ეუთოს მიერაც. გაეროს რეზოლუციით მიღებული სამშვიდობო პირობა დაირღვა. ზელენსკი 2019 წელს ხელისუფლებაში ერთადერთი დაპირებით მოვიდა: მას დონბასში ყველა სახის საომარი მოქმედება უნდა შეეწყვიტა და ისეთი ტიპის მოლაპარაკებების მოედანი შეექმნა, რომელიც უკრაინაში გარანტირებულ მშვიდობას უზრუნველყოფდა, განსაკუთრებით, მის აღმოსავლეთ ნაწილში — დონბასსა და ლუგანსკში. დაპირება ბლეფი აღმოჩნდა. ზელენსკი პრეზიდენტად სწორედ ამ დაპირების გამო აირჩიეს, თუმცა მან მთელი უკრაინა სისხლისმღვრელ ომში ჩაითრია, რაც უკრაინის მოსახლეობის მინიმუმ 3/4-ისთვის აბსოლუტურად მოულოდნელი და მიუღებელი იყო. ნუ დაგვავიწყდება, რომ ზელენსკი, ამ შემთხვევაში, პრეზიდენტი არ არის და არც პოლიტიკოსი გახლავთ, არამედ იგი პრეზიდენტის როლს თამაშობს, თანაც — საკმაოდ კარგად. ის პროფესიონალი მსახიობია და იმ სცენარით თამაშობს, რომელიც დასავლეთმა დაუწერა. დიახ, მისი პატრონი ანგლოსაქსონური გეოპოლიტიკის გამტარებელი გლობალური პოლიტიკური სისტემაა. დღეს ლონდონი იმ ბრიტანული ძალების მთავარი დირიჟორია, რომელსაც ბალტიის ქვეყნები, პოლონეთი და თავად უკრაინა წარმოადგენენ. თუ ასე გაგრძელდა, უკრაინისგან ნამსხვრევებიღა დარჩება. გასაგებია, რომ ომის პროპაგანდისტულ რიტორიკას არც საწყისი გააჩნია და არც დასასრული. რეალური მხოლოდ ომის სასტიკი სახეა, რასაც ათასობით ადამიანი ეწირება. როცა საუბრობენ: ზელენსკიმ რუსული ურდო დაამარცხაო, ეს მხოლოდ ომის შეჩერების შემთხვევაში იქნება შესაძლებელი. ომი კი გრძელდება და წისქვილის დოლაბს ემსგავსება, რომელიც ნელ-ნელა ტრიალებს, გზად ყველაფერს ფქვავს და როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო ინფრასტრუქტურას ანადგურებს. მოდით, პირდაპირ ვთქვათ: რეალურად, ნატო რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ტერიტორიაზე ომობს და, შესაბამისად, მხარედ გვევლინება. ნატოს უცვლელი ხელწერაა, ესა თუ ის საკითხი ყოველთვის სხვისი ხელით მოაგვაროს.

ვხედავთ, რომ დასავლეთი უკრაინის სტრატეგიულ-თავდასხმით შეიარაღებას განაგრძობს, რამაც შეიძლება ბირთვული ომის საფრთხემდე მიგვიყვანოს. ბირთვული ფაქტორის მნიშვნელობის გაზრდა წარმოსათქმელად ადვილია, მაგრამ კაცობრიობისთვის ეს გლობალურ



კატასტროფას ნიშნავს. რუსეთმა ბალტიის ზღვაში გაიყვანა ფლოტი, რომელიც მთლიანად ბირთვული ქობინებით არის შეიარაღებული. **წყალქვეშა გემი „ბელგოროდი“ რომელიც ზღვაში იყო გასული, უკვე დაუბრუნდა დისლოკაციის ადგილს, ოღონდ, 200 ტონით შემსუბუქებული აღჭურვილობით. 200 ტონით „ბელგოროდის“ შემსუბუქება იმაზე მეტყველებს, რომ მან სადღაც დატოვა და თავისუფალ ცურვაში გაუშვა „პოსეიდონის“ სახელით ცნობილი ტორპედოები. აღსანიშნავია, რომ მათ მსოფლიო ოკეანეებში 20-წლიანი უწყვეტი მოძრაობის ციკლი გააჩნიათ. დიახ, ოცი წლის განმავლობაში მათ 250 მეტრ სიღრმეში ავტონომიური მოქმედების დაუბრკოლებელი გადაადგილების შესაძლებლობა აქვთ.** ტორპედოების პოვნა და რადარზე დაფიქსირება, უბრალოდ, შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, ბირთვული საფრთხე ყოველდღიურად იზრდება. თუკი ერთი კვირის წინ ამის შანსი 65% იყო, დღეს 80%-ს აღწევს. ეს ის კოზირია, რომელიც გამოყენებული იქნება შემდეგი პრინციპით: რუსეთი ისე არ დავარდება, რომ ვირის საპალნე ვერ ზიდოს. თუკი გლობალურ მსოფლიოს, ომის ინსპირატორებს, სურთ იხილონ, თუ რაზეა წამსვლელი რუსეთი, ამასაც მოესწრებიან. მაგრამ სამწუხაროდ, ამის მომსწრე მთელი კაცობრიობა იქნება. რადგან, თუნდაც, **ტაქტიკური ბირთვული იარაღის აფეთქებების სერია უკვე გლობალური მესამე მსოფლიო ომის მომასწავებელი იქნება.** ეს აისახება, მაგალითად, ტაილანდში, ასევე, ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაძაბული მდგომარეობის ესკალაციაში; ახლო აღმოსავლეთში: გამწვავდება მდგომარეობა ამერიკასა და ირანს, ისრაელსა და ირანს შორის; წინ წამოიწევს სირიის წინააღმდეგ დროებით გაყინული კონფლიქტიც. ანუ, ეს ომი მთელ მსოფლიოს მოიცავს და კონტინენტთაშორისი დაპირისპირების სახეს შეიძენს, რაც მოშლის ტრადიციულ ეკონომიკურ კავშირებს, ასევე, მთელ კაცობრიობას უღრმეს, უმძიმეს კრიზისში ჩაითრევს. ამ კრიზისიდან გამოსავალი, ომის რაც შეიძლება სწრაფად დასრულებაა. სხვა შემთხვევაში, აქ მოგებული არავინ დარჩება. ეს ჩვენი ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისი იქნება. ამიტომ ერთადერთი გამოსავალია, მხარეები მინსკი-2-ის შეთანხმებას დაუბრუნდნენ, რაც მშვიდობას დაამყარებდა, მაგრამ ამისთვის არც აშშ, არც დიდი ბრიტანეთი, არც ევროკავშირის ბევრი სახელმწიფო მზად არ არის. ამასობაში, ევროკავშირი რუსულ ენერგომატარებლებზე უარის თქმას არ აპირებს. აქაც ორმაგი სტანდარტია. საქართველოს გავლით, ფოთის პორტიდან ბულგარეთში თხევადი აირის უდიდესი რაოდენობა მიედინება. ანუ, ევროკავშირი ენერგომატარებლების მიღებაზე უარს ვერ ამბობს. რუსეთი კი ენერგომატარებლების სანაცვლოდ ევროპიდან მილიარდობით შემოსავალს იღებს, რასაც თავისი სამხედრო პოტენციალის გაძლიერებას ახმარს. როცა საუბრობენ: ზელენსკიმ ურდოებს სძლია, რუსეთს ამარცხებსო, ნუ დაგვავიწყდება, რომ რუსეთის სამობილიზაციო რეზერვი 18 მილიონი ჯარისკაცია, ხოლო ოპერატიული რეზერვი — 3 მილიონი. დღეის მდგომარეობით, საომარ მოქმედებებში მონაწილეობა დაახლოებით 480 ათასმა ადამიანმა მიიღო. აბა, ნახეთ, ოპერატიული რეზერვის — 3 მილიონის რა ნაწილია პროპორციულად 480 ათასი ადამიანი?! ჰქონია თუ არა რუსეთის ფედერაციას შესაძლებლობა, რომ თავისი სტრატეგიული ჩანაფიქრი სისრულეში მოიყვანოს? ანუ, უკრაინის აღმოსავლეთით დაწყებულ ბრძოლებს კიდევ ორი ფრონტი დაემატოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 170 ათასი ჯარისკაცი ყირიმშია მობილიზებული. ათი ათასობით ჯარისკაცია ბელორუსშიც. ეს ორი ფრონტი დღეს გაჩერებულია. სამხრეთის ანუ, ყირიმის და ოდესის ფრონტი, რომელსაც არმიის გენერალი ალექსეი კიმი ხელმძღვანელობს, აბსოლუტურად უმოქმედოდაა. ისინი არ ომობენ, არამედ გარკვეული მოქმედებებისთვის ემზადებიან. არ ვიცი, ეს სტრატეგიული შეტევაა, თუ თავდაცვითი ინიციატივა. მაგრამ ფაქტია, რომ სამხრეთის არმია გაჩერებულია და მოქმედებების დასაწყებად მზადყოფნაშია. ასევეა ჩრდილოეთის არმიაც, რომელიც ბელორუსის სამხრეთით არის მობილიზებული. მე თუ მკითხავთ, ამ ეტაპზე საომარი მოქმედებები ვინმეს უპირატესობით კი არ მიმდინარეობს, არამედ ყველაფერი ახლა იწყება. ეს ევროპას, გლობალურ ეკონომიკას ურტყამს, საიდანაც რუსეთი თავის სარგებელს იღებს.

დაზვერვები — ბრიტანული „მი-6“, ისრაელის „მოსადი“ და ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ყურადღებას შემდეგზე ამახვილებენ: მარტის პირველი ნახევარი მოსამზადებელი პერიოდია იმისთვის, რათა რუსეთმა ფართომასშტაბიანი შეტევა დაიწყოს, რომლის მიზანი მხოლოდ ხარკოვის ან კიევის ალყაში მოქცევა კი არ არის, არამედ, ომის მთელი უკრაინის პერიმეტრზე გაშლაა. ამ შემთხვევაში, სამხრეთის ფრონტის სტრატეგიული ამოცანა შეიძლება იყოს სწორედაც დნესტრისპირეთამდე მიღწევა – აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე დიდ სამხედრო რუსულ ბაზამდე, სადაც, დაახლოებით, 4 მილიარდი დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობაა. თუ ასე მოხდა, მოლდოვას რა ბედი ეწევა, აბსოლუტურად გაუგებარია. შეძლებს თუ არა გლობალური დასავლეთი, ამ შემთხვევაში, მოლდოვას ახალი ანექსიისგან დაზღვევას, გაურკვეველია. ასე რომ, ბირთვული საფრთხის საშიშროების გარეშეც, შესაძლოა, სასტიკი ომის მომსწრე გავხდეთ.

რაც შეეხება ბაიდენის ვიზიტს კიევსა და ვარშავაში, ეს ესკალაციის ზრდას ემსახურებოდა. **თუკი რუსეთმა ოპერატიული ალყის შემორტყმა განიზრახა და ამან მთელი უკრაინის საზღვრები მოიცვა, ეს ომი ევროპას გადაედება.** შეუძლებელია, ათასობით კილომეტრზე გადაჭიმული მოქმედებები რომელიმე მხარის კონტროლს დაექვემდებაროს და ამან ასახვა მეზობელ სახელმწიფოებზე არ ჰპოვოს. მეორე მსოფლიო ომის დროს, სადაც რამდენიმე ფრონტი იყო გახსნილი, ბრძოლები 1300 კილომეტრზე მიმდინარეობდა. დღეს რუსეთ-უკრაინის ომი 1100 კილომეტრზეა გადაჭიმული. თუ ფართობი პოლიტიკური საზღვრების პერიმეტრზე კიდევ უფრო გაიზარდა, აქ უკვე საქმე წარმოუდგენელი მასშტაბის კატასტროფასთან გვექნება, რადგან ამ ომში ჩათრეული აღმოჩნდება მოლდოვა, რუმინეთი, პოლონეთი, ბელორუსი და ბალტიისპირეთის ქვეყნები. თუ ნატო და რუსეთი ღიად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რა თქმა უნდა, ბირთვული საფრთხე 95%-მდე აიწევს, გლობალურ კატასტროფამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩება. აი, რის ესკალაციას ახდენს ვაშინგტონი. როგორც ჩანს, ვაშინგტონმა ვირუსული ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებით კაცობრიობის დამონების გლობალისტური პროგრამა ახლა ცხელი ომის ფაზით შეცვალა, რამაც ბირთვული საფრთხეების სისტემების გამოყენებით იგივე მიზნები უნდა უზრუნველყოს. აშშ უკრაინელ ხალხს მართლა რომ უფრთხილდებოდეს, უკრაინის ხელისუფლებას აიძულებდა, რუსეთთან მოლაპარაკების მაგიდასთან დამჯდარიყო. თუნდაც მინსკი-2-ის შეთანხმება აღედგინა. აშშ ვალდებულია, როგორც მსოფლიო ჰეგემონმა, მხარი მშვიდობას დაუჭიროს, მაგრამ ამაზე სიტყვასაც არ ძრავს. უკრაინელი ხალხის შებრალებას არავინ აპირებს. ასე რომ იყოს, „აბრაამსებსა“ და „ლეოპარდებს“ კი არ გადასცემდნენ...

სამწუხაროდ, დასავლეთის მიზანი უკანასკნელ უკრაინელამდე ბრძოლაა...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ყელამდე „ქაქში“ ჩაფლული ევროპარლამენტართა ვნებანი

რაში არიან ჩაფლულები ეს თავმომწონე ევროპარლამენტარები, ვაზუსტებ!

ზოგადი სახელი კი ვიცი, ყელამდე „ქაქში“, მაგრამ ვინაიდან „პოლიტიკურ ქაქს“ სახეობები აქვს, მაგალითად: კორუფცია, კრიმინალური ორგანიზაციის ან ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ დანაშაულში მონაწილეობა, ფულის გათეთრება და ა.შ. — დასაზუსტებელია. რა ვქნა, გენაცვალეთ, ჯერ მათ ვერ გაურკვევიათ, ბელგიის კანონების დარღვევით რაში არიან გახვეულები ეჭვმიტანილი არაპატივცემული ევროპარლამენტარები და მე რა დავაქუხო?

უპირველესად, დიდი ნიშნისმოგებით მსურს, მივახალო: თქვე ჩემის ევროპარლამენტო, თქვენი ევროპარლამენტარებიანად, ჯერ რომ საკუთარი ფეხმრუდი მამიდისთვის მოგევლოთ და ასობოროტა „მიხეილ დასუსტებულის“ გამო საქართველოს არ დაპირისპირებოდით, არ გერჩივნათ?

არ ერჩივნათ და აჰა, ახლა მოითხოვონ და ივაჭრონ საქართველოს ევროკავშირის სტატუსის მიღება-არმიღებაზე პირდაპირ „ვივამედის“ კარცერ-ლუქსის გავლით.

ვამბობდი, ევროპარლამენტი პოლიტბიუროს მაგონებს-მეთქი და „რუსეთუმე“ თუ არ ხარ, ან რატომ იცი ეგ სიტყვა, ან რამ გაგახსენაო?

რამ გამახსენა და მსგავსებამ, ხოლო იმიტომ ვიცი, რომ ბრეჟნევის მედლებით ახუნძლული მკერდი მაოცებდა; კიდევ იმიტომ გამახსენდა, რომ შედარებისას მიკვირდა, ეს ევროპელი ჩათლახები პოლიტბიუროელ ჩათლახებზე ჩათლახები არიან, მაგრამ მათზე უტვინოები რატომ არიან-მეთქი?

მე ვიყო კვახივით გოგრა, თუ ვტყუოდე: ამ ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“ ჩვენთან (საქართველოსთან) ე.წ. მეგობრობა დამონებად წარმოუდგენიათ, ჰოდა, გვაშანტაჟონ ახლა ზოგმა ციხიდან, ზოგმა შინაპატიმრობიდან და ზოგმა 55-ე პუნქტიდან. ის არ დაავიწყდეთ კიდევ, პროტრაკული რეზოლუციების მიღება რომ იციან საქართველოს წინააღმდეგ და უშნოდ გვეთამაშებიან: აბა, შეჭამე ჩვენი 12 გენმოდიფიცირებული სტაფილო და ჩემი მე-13 ბაჭია იქნები, მინდა გაგატყავებ, მინდა გაგყიდი, ვინღა დაგეკითხება რამესო...

აფსუს, „მიხელ დასუსტებულის“ ტარი რომ არ იყვნენ, ხომ შემოუძახებდა კაი ვაჟკაცივით ქრობადი მიხეილი: „ყველანი ციხეში! ნულოვანი ტოლერანტობა“-ო!

ჯერ არავის უთქვამს, რომ „მიხეილ დასუსტებულის“ მსგავსად ევროპარლამენტარებსაც ბიძინა ივანიშვილმა „გაუჩალიჩა“? — მე ვამბობ, დაგასწარით!

ამოცანა გვეკითხება: რატომ არიან ცალკეული ევროპარლამენტარები ასე თავგამოდებულები ყოველმხრივ მანიაკი სადისტისა და სიმულანტი „მიხეილ დასუსტებულის“ გამო? იმიტომ ხომ არა, რომ, რასაც ეს გაუმაძღარი ადამიანი ასრულებდა, მათი მითითება იყო ასევე „დაუძინებელი მეგობრის“, აშშ-ის თანადგომით? სანამ ხელში საკუთარი ფეკალიების დაგორგოლავების ნაცვლად ახლა სიტყვებად ამოუყრია მთელი სიბინძურე, თავისუფლების ფრთები უნდათ, რომ შეასხან?

ისე, კაცი რომ ჩაუკვირდეს, ფრიად საინტერესო რეალობას მივიღებთ: ევროპა ის ბებერი მეძავია, რომელმაც ყველა ის სიბინძურე, რაც თავზე ქაფად მოიგდო, ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე გადასტყორცნა ლოთების, ბოზების, ავანტურისტებისა და ყველანაირი კრიმინალის სახით. ჰოდა, განა გასაოცარი უნდა იყოს მათი დუეტი? უბრალოდ, დასაზუსტებელია, რატომ გაუწვა „ბებერი მეძავი“ თავისივე ნაბუშრებს — სხვა არაფერი!

ერთი ძველი ანეკდოტი მახსენდება მას შემდეგ, რაც ერთ კაცს მთელ საქართველოსთან აიგივებენ და ერთნაირად მტრობენ ორივეს. მიხო ზის ვენახში და პაპიროსს აფუილებს. ჩონჩხმა იფიქრა, მოდი, გავერთობიო და მოულონელად გადმოუხტა, ერთი ღერი მომაწევინეო. ურეაქციოდ მიაწოდა მიხომ ერთი ღერი. უკმაყოფილო ჩონჩხი მეორედ გადმოუხტა, კიდევ ერთი ღერი მომაწევინეო და თან ცალი ხელი გასძრა. მიხომ ისევ ურეაქციოდ მიაწოდა პაპიროსი. უფრო გაგულისდა ჩონჩხი და ისევ გადმოუხტა, ამჯერად ფეხი გასძრა, შემდეგ თავი და იშლება ნაწილებად. ერთ-ერთ გადმოხტომაზე იკადრა მიხომ და ხმა გასცა: შე ჩემანალა, კი არ მენანება, მოგცემ კიდევ ერთ ღერს, მაგრამ ხო ხედავ, გწყენსო...

ასეა ამათი საქმეც. წავლენ-წამოვლენ და მოგვადგებიან შესაშინებლად, საქართველოს და ბიძინას კი სულ ცალ ფეხზე გვკიდია, ჩონჩხადქცეული „კოლექტიური დასავლეთი“ რა ახალ ხრიკს მოიგონებს ჩვენ შესაშინებლად.

მართალი თქვა ირაკლი კობახიძემ, როდესაც ადამიანს სჯი, მისგან არაფერს ელოდები. ბიძინა ივანიშვილზე იმიტომ ხორციელდება შანტაჟი და იმიტომ მოქმედებს დე ფაქტო სანქციები, რომ შანტაჟი არის არა დასჯა, არამედ შანტაჟიო. ჰოდა, თქვენი შანტაჟიორი ჭკუა-გონება კი მოგიკითხოთ ბიძინას ზებრამ, იმიტომ არ მიუთვალეს კომპენსაციის სახით 210 მლნ აშშ დოლარი? და ეს რომ გაიგო „მიხეილ დასუსტებულმა“ რა ქნა, მოლონიერდა?

არაო, „მიხეილ დასუსტებული“ საკუთარი კუნთების ჭამაზე ყოფილა გადასული, მაგრამ ისინიც აღარ აქვს და რითი უდგას სულიო, — უკვირს დედა-გიულის. კეთილ მრჩეველებს რა გამოლევს, მაგრამ მზრუნველები ორად გაიყვნენ. ერთმა კატეგორიამ შემოსძახა: „ქალო, ნორმალური საჭმელი მიუტანე და შეთქვლებსო“, ხოლო მერე კატეგორია რაღაც ძალიან ძარღვიანს ურჩევს, ყლაპვა თუ უჭირს, საცოხნად დიდხანს ეკმარება და გაერთობა, გულს გადააყოლებსო.

აქ ასეთი ყოფითი ამბებია და კოლექტიური კუბილიუსები ნიფხვებიდან ხტებიან, საქართველოს მომავალი „მიხეილ ქაქიგორგლიაზე“ გადისო. „ვაშლი ვაშლის ხიდან შორს არ ეცემაო“ და აჰა, ქაქში ჩაფლული „ბებერი მეძავი“, მასთან შედარებით, ახალგაზრდა ქაქიგორგლიას ეფოფინება...

ამ გახსენებაზე, მამა-ძია ჩალაძეც ხომ არ მიუმსერებიათ რომელიმე კლინიკაში მას შემდეგ, რაც „ფლაგები“ დაეხა? რა ვიცი, იბრიქებოდა ვინცხა იმისი არ იყოს, „თუ ჩემს მოთხოვნას შეასრულებს ხელისუფლება, საერთაშორისო ბანკებში ნებისმიერ გაუგებრობას მოვაგვარებო“ და 210 მლნ დოლარის შესახებ რომ გაიგო „ბლუმბერგისგან“, შეუძლოდ ხომ არ შეიქნა, „სასწრაფოს დაუძახეთო“, არ გამოუცია ბრძანება?

ახლა რომ ატყდა ალიაქოთი ასოებსა (არასამთავრობო ორგანიზაცია) და მის დამცველებში, არიქათ, 37 წელი იწყება, რას ჰქვია დაფინანსების წყაროები უნდა გამოაშკარავდესო, აგი რაია, სიმონ?

ძველი ანეკდოტი გამახსენდა. ჭიჭიკიას სისხამზე ვიღაც მიადგა კარზე დაახლოებით ასეთი ფრაზით: „პარიზში საუკეთესო წაბლის ხეები საღორიას ტყეშიაო.“ ჭიჭიკიამ მიუგო: ძამია, ინგლისის აგენტი მესამე სართულზე ცხოვრობს ჩემს მოპირდაპირე კარშიო.

ასეა ამათი ამბავიც! გადასარევად იცის ხალხმა, რომელი „ასო“ რომელი ქვეყნის ინტერესების გამტარებელია და ვინ ჩამოართვა ხალხს კონსტიტუციური უფლება, იცოდეს, რომელი ორგანიზაცია რომელი ქვეყნის ფულით იკვებება და მათ რა მიზნებს ემსახურება ამ ფულის სანაცვლოდ. კუალა-ლუმპურისა თუ მაპუტუელების ინტერესებში რომ არ იქნება საქართველო, ხომ ვიცით და რომც იყოს, რისი დამფინანსებლები არიან, ერთმანეთს სასკორავში შესცქერიან მშიერი თვალებით.

„საქართველოში აპირებენ, მიიღონ კანონი „უცხოური გავლენის აგენტების“ შესახებ, რომლის მიხედვითაც, ყველა მედია- და არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოეთიდანაა, „უცხოეთის გავლენის აგენტად“ ჩაითვლება.

მსგავსმა კანონმა პუტინის რუსეთში, ფაქტობრივად, გააქრო კრიტიკული მედია და სამოქალაქო სექტორი.

ამ პროექტის მიზანია, საქართველოში მოქმედი იმ მედია და არასამთავრობო ორგანიზაციების „გაშავება“, რომლებიც აკვირდებიან და აკრიტიკებენ ხელისუფლებას“-ო, ატყდა გნიასი. მე კიდევ ის მიკვირს, რატომ აქამდე არ წამოიჭრა ეს საკითხი და მყისიერადვე არ გადაწყდა დადებითად. რა ვიცი, ტაშს დავუკრავდი — ეტყობა, ბუნებით შურიანი ვარ და მშურს, „გავლენის აგენტი“ რომ არ ვარ...

აკი ვთქვი, ჭიჭიკიასი არ იყოს, ხალხმა ყველაზე ყველაფერი იცის-მეთქი და ამიტომ ვერ ვიღებთ ლუსტრაციის კანონს, ჩქამიც კი არ ისმის, რომ ვინმეს უნდოდეს მისი მიღება.

ხელისუფლებავ, იმოქმედეთ გაბედულად!

არ მეგულება საქართველოს გარდა ქვეყანა, სადაც უცხო ქვეყნის გავლენის აგენტები თავზე ესხდნენ ხელისუფლებას და მის მაკონტროლებელ ორგანოდ მიიჩნევდნენ თავს. დაარქვით ყველაფერს თავისი სახელი!

ჰოდა, ბიძია, ისევ იმ „მეძავ ევროპასთან“ და მის ზედაპირზე მოგდებულ ბინძურ ქაფთან მივდივართ, დღეს რომ დემოკრატიისა და პირუთვნელობის მანტია აქვთ ფასონად მოსხმული, ნეტავ, რატომ არ უნდა ვთქვათ სიმართლე ხმამაღლა? ზუსტადაც რომ დროული კი არა, დაგვიანებულიცაა. 30 წლის წინათვე რომ დაგვერქმია ყველაფრისთვის ის სახელი, რაც ეგებოდა, ამ ხნის განმავლობაში ასეთ გამუდმებულ რყევასა და ყანყალში არ ვიქნებოდით, არც შაგრენის ტყავივით დაპატარავდებოდა საქართველო.

მაშასადამე, რაო, რას გვეუბნება ცინცხალი რეზოლუცია: თუ ასე გულით გინდათ, შემოგვიძვერით, მაგრამ არა უბეშიო? თქვენი დემოკრატიული გაგება რას ამბობს და თქვენს ხალხს რა უნდა, საერთოდ არ გვაინტერესებს, რასაც ჩვენი „ბრიაშკა“ გეტყვით, ის უნდა აკეთოთო? დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებები არა — „ფრიი მიშა!“ მოხარშული წაბლი არ გინდათო?

დაგვცინიან და მასხრად გვიგდებენ?

ამათ არ იციან ქართველი კაცის გუნება, ერთი თუ მიაყვირა: წადი, თქვენი გამომტირებელ-დამტირებლისაცო...

დიპლომატიურ ენაზე, ნეტავ, როგორ გამოიხატება სიტყვიერად „თქვენ მიკბინეთ აგეროს“, — აი, ასე უნდა მიაწეროს ჩვენმა, ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ იმ ევროჩაქაქებულების „უსტარს“ და გაუგზავნოს ცისარტყელის ფერებში გადაწყვეტილი ბაფთით...

ბიჯოს, რა მოუშორებელი ჭირი გაგვიჩნდა, ვის გადაგვყარეს ამ სულგაყიდულმა ქართველებმა!..

რაც ყველაზე მეტად მაინტერესებს, უნდა ვიკითხო და ვინმე თუ ამიხსნის, როგორ უნდა მოვიქცეთ?

ჯერ ხომ წლებია და ევროკავშირის კანდიდატობა ან წევრობა რა სარგებელს მოგვიტანდა, ვერავინ ამიხსნა; შემდეგ, რა ზიანს მოგვაყენებდა (უტოპიურ ევროატლანტიკურ ალიანსზე ბოდვისა არ იყოს) და ამაზე ვინღა მიპასუხებს: მიუხედავად პატრიარქის შეგონებისა (ფაქტობრივად, თხოვნა იყო) და საქართველოს მოქალაქეების უდიდესი უმრავლესობის თხოვნისა და წინააღმდეგობისა, არ მიეღოთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, მაინც მიიღეს; მთლად გაუმართლებელი იდიოტობა — კონსტიტუციის პრეამბულაში რომ ჩაწერეს, ვითომდა სრულიად საქართველოს სწრაფვა ქაქში ამოსვრილი ნატო-კატოებისკენ და უამრავი ასეთი წვრილმან-მსხვილმანი, ეს ამბავი როგორ მოგვარდება?

ერთი ამბავი მახსენდება. საქართველოს ერთ-ერთ ზონაში მოხდა. ვიღაც პატიმარი უპატიებელი საქციელის გამო გაუპატიურებით დასაჯეს. როგორც შემდეგ გამოირკვა, უდანაშაულო ყოფილა. ჰოდა, ერთხელაც, როგორღაც მიაღწია ქურდებამდე და შესჩივლა, ხომ არასწორად მომექცნენო. კი, ვერ მოგვსვლია კარგი ამბავიო, — დაუდასტურეს ქურდებმა. ისევ მოახერხა და მივიდა იგივე ამბით, ხომ არასწორად მომექცნენო? კიო, — ისევ დაეთანხმნენ. მესამედაც რომ მიადგა, უყვირეს: ტოო, შენ რა გაატ...კე, ჩვენ ხომ ვერ გამოგ...ვთ, ფეხმოდგმული აღარ დაგინახოთო. იმ კაცისა არ იყოს, ისეთსავე გაჭირვებაში ვართ და გვეშველება ვითომ რამე?

თქვენი არ ვიცი და, მე, პირადად, არ მინდა იმ ევროპულ ოჯახში, რომლისკენ მიმავალი გზა არაერთი დანაშაულის ჩამდენი (მათ შორის, მძიმე) მიხეილ სააკაშვილის სასჯელისგან (თან — მინიმალური) გათავისუფლებაზე გადის; საქართველოში „მეორე ფრონტის“ გახსნაზე გადის; გაუკუღმართებული სექსუალური კავშირის დაკანონებაზე გადის; მეცენატი კაცის შანტაჟზე გადის და კიდევ არაერთ უმსგავსობაზე!

ადამიანთა უფლებების დაცვის სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთი განაჩენი გამოიტანა სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ, ევროპარლამენტარები კი უხერხულადაც კი არ შეშმუშნულან — ისე ყარს მათ მიერ შეთითხნილი რეზოლუცია, სუნი აქ მეცა, კოხტაგორაზე...

როდემდე უნდა იკოტრიალოს „ვივამედში“, ან რატომ უნდა იყოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სამარტოო საკანში „მიხეილ დასუსტებული“, ეს ხომ დასჯაა! ნუ სჯით უმართებულოდ! ხალხთან ლაქლაქი მაგას უყვარს და იყოს ხალხთან, აკი, ხალხი ციხეშიაო. ნახეთ, როგორ მოფერიანდეს და მოცოცხლდეს...

გადაათრიეთ ეს სიმულანტი იქ, სადაც კანონით უნდა იჯდეს!

**ზურაბ ოქხერელი**





# ახალი სატრანზიტო დერეფანი ევროპისთვის საქართველოს ფასს გაზრდის

**„ხალხის ძალამ“ პარლამენტში განსახილველად ორი კანონპროექტი წარადგინა: „უცხოური აგენტების გამჭირვალობის შესახებ“ და „უცხოური აგენტების რეგისტრაციის შესახებ“, რომელიც ამერიკული კანონის ანალოგია. სიტყვა „აგენტის“ ხსენებამ ენჯეოებისა და მედიის აღშფოთება გამოიწვია. გაჩნდა კიდევ ერთი მოსაზრება: უცხოური გავლენის აგენტების კანონის მიღებით კანდიდატის სტატუსს ვემშვიდობებითო... შაჰინმა და დურბინმა საქართველოში ყოფნისას ეს კანონი დაგმეს — რუსეთისკენ და ვენესუელისკენ წაიყვანს საქართველოსო... როგორ უწყობს ევროკავშირი პოლარიზაციას თავად ხელს მაშინ, როცა მისი ოფიციალური სტრუქტურა ერთ-ერთ ოპოზიციურ პარტიას აფინანსებს...**

**ამ და სხვა საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:**

— 2003 წელს „ვარდების რევოლუცია“ ამერიკელი პოლიტოლოგის ჯინ შარპის სცენარით მოხდა. ხავერდოვან რევოლუციაში მთავარი მოქმედი პირები არასამთავრობოები და მასმედია იყვნენ. ის, რომ ჩვენთან ენჯეოები და მედია ხელისუფლების შეცვლის ბერკეტებია, ეს მოცემულობა 2003 წლიდან სახეზეა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ხელისუფლება შეიცვალა. სააკაშვილმა ამ ენჯეოების დიდი ნაწილი, მათ შორის, „თავისუფლების ინსტიტუტი“, ხელისუფლებაში მოიყვანა. ეს ნიშნავდა, რომ არასამთავრობოებმა „ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ იმუშავეს. ნაცების ეპოქა 2012 წელს დამთავრდა. ამჟამინდელ ხელისუფლებას მაშინვე ყურადღება უნდა მიექცია, თუ როგორ მოხდა „ვარდების რევოლუცია“ და შესაბამისი ზომები მიეღო, რათა ამ ჯგუფებს რევოლუციის ხელახლა განმეორება არ მოენდომებინათ. ჯინ შარპს პუნქტობრივად აქვს გაწერილი, რა უნდა გაკეთდეს, რათა ხელისუფლებები ძალმომრეობის გარეშე შეიცვალოს. ამ პროცედურებში ერთ-ერთი პუნქტი არჩევნებთან დაკავშირებით პროტესტის მომწიფებაა. კერძოდ, პროტესტი ენჯეოებმა უნდა გამოთქვან, ხოლო მასმედიამ ეს გააშუქოს. 2003 წელს ეს კინო ხომ უკვე ვნახეთ. გაუგებარია, 2012 წელს რატომ დატოვეს ქვეყანაში ინსტრუმენტები, რითაც იგივე ხავერდოვანი რევოლუციის განმეორება იქნებოდა შესაძლებელი?! ფაქტი სახეზეა — ამ ხნის მანძილზე „ნაცმოძრაობას“ ხავერდოვანი რევოლუციის განმეორების სურვილი არ განელებია. მერაბიშვილმა პირდაპირ განაცხადა: ახლაც, 2003 წლის მსგავსად, რევოლუცია მოხდება და ხელისუფლება დაემხობაო!

ივანიშვილი და მისი გუნდი დღევანდელ დღემდე ისე მოვიდა, რომ არავის მიმართ ძალა არ გამოუყენებიათ. რევოლუციის მსურველმა ძალებმა თვითდისკრედიტაცია მოახდინეს. მაშინ რა საჭიროა ამ კანონის შემოტანა?! ის ჯგუფები, რომლებიც თავის დროზე შარპის მოდელის მიხედვით მასმედიას და არასამთავრობოებს ეყრდნობოდნენ, დღეს აღარაფერს წარმოადგენენ, საზოგადოებამ ისინი გარიყა. ენჯეოებს, მედიას კანონის შინაარსზე იმდენად არ აქვთ პრეტენზია, რამდენადაც სიტყვა „აგენტზე“.

მხოლოდ იმის გარკვევა, არიან თუ არა საქართველოში აგენტები, საკმარისი არ არის. ნებისმიერი ქვეყანა აგენტურის ყოლაში დადანაშაულების ფაქტს მწვავედ განიცდის. ეს უკანონო გზით ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს. ყველა ქვეყანაში აგენტურის მიმართ გარკვეული სანქციები ტარდება. აგენტის დაპატიმრებას ერიდებიან, ამიტომ ხშირად სანქცია აგენტების გაცვლაა.

რაც შეეხება კანონს, რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას. „ხალხის ძალა“ ამ შემთხვევაში აქცენტს დასავლეთზე აკეთებს და არა რუსეთზე. ამიტომ კანონის მიღება, სავარაუდოდ, დასავლეთის რიგ ქვეყნებთან დაძაბულობას გამოიწვევს. „ხალხის ძალამ“ განაცხადა, რომ კანონი მხოლოდ უცხოური გავლენის აგენტის გამოვლენას ითვალისწინებს, სხვა სანქცია არ არსებობს. აქედან ცხადია, დასავლეთთან ვითარების გამწვავებას თავად მმართველი პარტიაც ერიდება.

პიარი „ქართული ოცნების“ საუკეთესო მხარე არ არის. იმის წინ წამოწევა, რაც საზოგადოებას აფრთხობს, წამგებიანია. ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში მოვიდა დაპირებით, რომ პოლიტიკიდან „ნაცმოძრაობის“ კვალს წაშლიდა და ყველა დამნაშავეს დასჯიდა. დასავლეთი დამნაშავის დასჯის საშუალებას არ გვაძლევს. მაშინ რა საჭიროა ეს კანონი?! მით უმეტეს, რომ მისი მიღებით საერთაშორისო სუბიექტების დანაშაულიც იკვეთება.

იგივე კანონი ამერიკაშიც არსებობს. თუმცა ამერიკული კანონი ქაღალდზე დარჩა, რადგან მისი ერთ-ერთი რედაქცია ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე, ნაციონალ-სოციალისტების აგრესიულობის შიშით მიიღეს. ჩვენთან კანონპროექტის შემოტანამ ოპოზიციას საბაბი გაუჩინა, თქვას: საქართველო რუსეთისკენ მიდისო. „ქართული ოცნება“ თუ ყველას დაარწმუნებდა, რომ ამა თუ იმ კანონს ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებისთვის იღებდა, მაშინ ოპოზიცია ვეღარ გაბედავდა იმის თქმას: ხელისუფლებას რუსეთისკენ მივყავართო!

ნაცები ხშირად იმაზე საუბრობენ, რაც აწყობთ. მათი მიზანია, საქართველოს ევროპასთან ურთიერთობაში პრობლემები შეექმნას. ამიტომაც ამკვიდრებენ აზრს — ქვეყანა რუსეთისკენ მიდისო. ცდილობენ, ეს მოსაზრება ჩვენც და უცხოელებს ტვინში თანაბრად ჩაგვინერგონ. მათ სურთ — მოსახლეობამ ამ მიზეზით „ქართულ ოცნებას“ უარი უთხრას და ნაცები აირჩიოს. თეთრი სახლის სპიკერმაც ხომ განაცხადა: ამ კანონის მიღებით საქართველო ევროპას დაშორდებაო. მაგრამ, მოდით, დავფიქრდეთ: ევროპას, ზოგადად, დასავლეთს აწყობს, საქართველო ისევ გაირიყოს?! ასე ხომ უფრო ადვილად შეძლებს რუსეთი ჩვენზე გავლენის მოპოვებას. დასავლეთს ეს სურს თუ ის, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანდეს და საქართველოზე გამავალ სატრანზიტო ხაზებს ჩვენთან ერთად ევროპამაც „მიხედოს“. წესით, ევროპას სატრანზიტო ხაზების მფლობელი ქვეყნის იზოლაციაში მოქცევა არანაირად არ უნდა აწყობდეს.

დასავლეთისკენ ჩვენი სწრაფვა გორგასლის პერიოდიდან იწყება. ჯერ კიდევ ასაკში მყოფმა სულხან-საბა ორბელიანმა დიდი გზა განვლო, რათა ევროპისთვის მიეწვდინა ხმა. მაშინ საქართველოს დახმარება, დაცვა სჭირდებოდა. დღეს, საბედნიეროდ, სხვა რეალობაა. ახლა ისლამური თურქეთი ჩვენი პარტნიორი ქვეყანაა. მაგრამ არსებობს სხვა პირობა, რის გამოც ქვეყნები ევროპისკენ მიილტვიან — იქ ცხოვრების დონე უფრო მაღალია. ამიტომაც არის ამხელა მიგრაცია არაბეთიდან, ირანიდან და ა.შ. ეს ქვეყნები ახლა ვინმესგან დაცვას კი არ ითხოვენ, არამედ გადამწყვეტი ფაქტორი ცხოვრების მაღალი დონეა. ევროპის ცხოვრების მაღალი დონე ქართველებსაც იზიდავს. იქ მიღებული გასამრჯელო მათთვის საკმარისია იქ საკუთარი თავისა და აქ ოჯახის სარჩენად.

პოლარიზაციას ევროკავშირი თვითონ უწყობს ხელს. თანაც, სხვა რომელ ქვეყანაშია პოლარიზაცია ლიკვიდირებული? — ამერიკაში, სადაც ტრამპისა და ბაიდენის მომხრები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან გადაკიდებულნი?! გამოდის, ევროკავშირი არარეალისტურ მოთხოვნებს გვიყენებს! ბუნებრივია, ჩნდება ვარაუდი, რომ კანდიდატის სტატუსზე უარი რეალური მიზეზის გამო კი არ გვითხრეს, არამედ ეს, უბრალოდ, საბაბი იყო, რათა 12-პუნქტიანი დავალება ჩამოეწიკწიკებინათ. მსგავსი პუნქტები შესასრულებლად უკრაინასაც მისცეს და მოლდოვასაც. თუმცა, ომის გამო პირდაპირ სტატუსი მიანიჭეს. გამოდის, რომ სხვა მიზეზიც არსებულა (ომი), რის გამოც კანდიდატის სტატუსს გაძლევენ და დემოკრატიის ერთგულება ამისთვის საჭირო სულაც არ ყოფილა! დიახ, საომარი მდგომარეობის, რუსეთთან დაპირისპირების მიზეზით, ამ ქვეყნებს სტატუსი მიანიჭეს, ჩვენ კი ამის ღირსად არ ჩაგვთვალეს. იმიტომ, რომ უკრაინა და მოლდოვა ევროპული ქვეყნებია, ჩვენ კი ტრადიციულ ევროპულ ქვეყნად არ მიგვიჩნევენ! გავიხსენოთ, რა თქვა შოლცმა: ევროპა თბილისამდე უნდა გაფართოვდესო. ანუ, მისი აზრით, ჯერჯერობით, ევროპა თბილისამდე გაფართოვებული არ არის. დიახ, მათ ცნობიერებაში თბილისი ევროპა არ არის. ამიტომ უჭირთ ევროპული სიკეთეების, მათ შორის, კანდიდატის სტატუსის საქართველოსთვის მინიჭება. როგორც კი ახალი სატრანზიტო პერსპექტივებით ევროპისთვის საქართველოს ფასი გაიზრდება, ჩვენი მიღება ბევრად გაუადვილდებათ. შოლცმაც ხომ სწორედ სატრანზიტო ხაზის გამოჩენის შემდეგ გააკეთა ეს განცხადება.

იმასაც ამბობენ: ხელისუფლებას სურს, თავად დასავლეთს ათქმევინოს საქართველოზე უარი და ამიტომ მიდის რუსეთისკენო. ეს რა ლოგიკაა, როგორ შეიძლება, საქართველოს ხელისუფლებას რუსეთისკენ წასვლა უნდოდეს, როცა მას მთელმა მსოფლიომ ზურგი შეაქცია. ოპოზიციის ლეგენდები ამ საკითხზე უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება. ნუ დაგვავიწყდება, რა კატეგორიის ხალხია ოპოზიციაში – იმას ამბობენ, რაც აწყობთ.

ცნობილი გამოთქმა ხომ იცით: იგი ძაღლიშვილია, მაგრამ ჩვენი ძაღლიშვილიო. დასავლეთს სხვისას თავისი ძაღლიშვილი ურჩევნია. მიაჩნიათ, რომ პოლიტიკაში ასეთი პრინციპებით ბრძოლით უკეთეს შედეგს მიაღწევენ. ნაცებმაც დაინახეს, რომ („ვარდების რევოლუციას“ ვგულისხმობ), როგორც კი ვიღაც გაყიდეს, დაჩაგრეს, ძალაუფლება უფრო გაიმყარეს. რა გასაკვირია, რომ ახლაც იგივეს გამეორება უნდათ.



მოსახლეობის დიდ ნაწილს რამდენიმე დღის წინ გამართულ სოლიდარობის აქციების მიმართ უნდობლობა აქვს. კერძოდ, იციან, რომ ეს შეიძლება რომელიღაც პოლიტიკური ძალის ინტერესით იყოს ნაკარნახევი. თბილისში უკრაინისთვის მხარდასაჭერი აქციის მოწყობა გაუგებარია. ეს რა მხარდაჭერაა?! უკრაინა იბრძვის და დღეში ათასობით ადამიანს კარგავს. ჩვენ ამ დროს, ფაქტობრივად, პერფორმანსის დონეზე ვუჭერთ მხარს, ხომ? ეს ხომ რეალური მხარდაჭერა არ არის. მას მხარდაჭერა სჭირდება იარაღის, საკვების, ტანსაცმლის და ა.შ. მიწოდებაში. ასეთი სპექტაკლები ადრეც არაერთი გვინახავს. ბევრი ქართველი უკვე დარწმუნდა, რომ ნაცების მიტინგებით საქმე არ კეთდება.

ნაცები ხელისუფლებაში დასაბრუნებლად იბრძვიან. ეს ხომ ის ჯგუფია, რომლის ზეობის დროს რუსეთმა საქართველოსგან ყველაზე მეტი სარგებელი მიიღო. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების გადაცემასაც რომ თავი დავანებოთ, თვით 2008 წლის ომიც ხომ რუსეთისთვის გაგორებული სახეირო ნაბიჯი იყო. მიშას ხელისუფლებაში ყოფნის დროს ერთმა რუსმა ექსპერტმა, რომელიც პუტინის მომხრე არ იყო, ჩემს კითხვაზე: **ვინ გირჩევნიათ საქართველოს ხელისუფლებაში — სააკაშვილი თუ ვინმე სხვა, ასე მიპასუხა: რა გითხრათ, მიშამ იმდენი გააკეთა რუსეთისთვის, პუტინი რომ დაესვათ მის ადგილას, ამდენს ვერ შეძლებდაო.** მიშა მმართველობაში, პირიქით, გვაწყობსო. სააკაშვილი რუსული ინტერესიდან გამომდინარე მოქმედებდა.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# აქციის მიზანი უკრაინის მხარდაჭერა კი არა, ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაცია იყო



*გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:*

**— ბატონო მერაბ, 24 თებერვალს რუსთაველის გამზირზე უკრაინის მხარდასაჭერი აქცია გაიმართა, თანაც უახლესი ეროვნული მოძრაობის დაწყებას აანონსებენ...**

— ეროვნული მოძრაობა მაშინ არის გამართლებული, როცა ქვეყანაში სხვა ქვეყნის გავლენები და მმართველობა, უზურპაცია ხორციელდება. ესენი ვის წინააღმდეგ იწყებენ ეროვნულ მოძრაობას — ევროკავშირის თუ რუსეთის?! რუსეთი ჩვენი ქვეყნის მმართველობაში არ ერევა. მან სააკაშვილის დროს საქართველოს ტერიტორიები უკვე წაიღო და სულ არ ანაღვლებს — ევროპული გზით ვივლით თუ კორეულით. მართლა ვერ გავიგე, ვის წინააღმდეგ იწყებენ ესენი ეროვნულ მოძრაობას? ვინ, ბოკერიაა ეროვნულად მოაზროვნე?! ის ილია ჭავჭავაძეზე, მისი ტრიადის — მამული, ენა, სარწმუნოების მნიშვნელობაზე რომ საუბრობს, სიცილს ვერ ვიკავებ. რაც შეეხება უკრაინის მხარდამჭერ აქციას, ჩვენ ვიწვნიეთ რუსეთის მკაცრი ხელი, ისიც ვიცით, უკრაინა რა დღეშია და უკრაინელ ხალხს თანავუგრძნობთ კიდეც. ქართველებს ტოლერანტობა გენეტიკურად მოგვდგამს, ყოველთვის დაჩაგრულის მხარეს ვართ.

ნაცებმა ეს დღე სათავისოდ გამოიყენეს. ზოგმა პერმანენტული აქციების დაწყებაც დააანონსა. ერთი, დაგვანახონ, რისი დამწყები ან დამმთავრებლები არიან. ამ აქციაზე ვითომ უკრაინისადმი სოლიდარობის გამოხატვა შირმა იყო. ეს სოლიდარობა სიტყვით გამომსვლელებს ორი წუთის მერე აღარც ახსოვდათ. სინამდვილეში ამ აქციის მიზანი ქართული ხელისუფლების დისკრედიტაცია იყო და იმის ჩვენება, რა ცუდია ჩვენი ხელისუფლება და რა კარგია უკრაინა. ხელისუფლების დისკრედიტაციას დასავლეთის შავბნელი ძალებიც ხელს უწყობენ. ისინი საქართველოს შიდაპოლიტიკურ საქმიანობაში გარედან უხეშად ერევიან. ჩვენთან მრავლადაა ისეთი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ევროპული სტრუქტურებიდან ფინანსდებიან. მათ ნაცები უკრაინის მხარდამჭერებად აქციეს. ოპოზიცია გაჰყვირის: უკრაინა იმარჯვებსო. უკრაინის გამარჯვება-არგამარჯვების „დაფაზე“ ქართული პოლიტიკის ბედი წყდებაო, — გვეუბნებიან. „ქართულ ოცნებას“ კი პრორუსულ ხელისუფლებად ნათლავენ. „ნაცმოძრაობა“ ყველა ღონეს ხმარობს, რათა ისევ ხელისუფლების სათავეში მოექცეს. ახლა უკრაინის თემა, მათი ბოლო შანსია. მიხვდნენ, რომ სააკაშვილის გათავისუფლებით მისი ლიდერად გადაქცევა და ქვეყნის ამოტრიალება აღარ გამოუვათ. ამიტომ ახლა ცდილობენ, უკრაინის მხარდაჭერა სათავისოდ გამოიყენონ.

## მისი უდიდებულესობა ქართველი ხალხი ყველას საკადრის პასუხს გასცემს...



**— აქციაზე ბეროშვილმა ხალხს მოუწოდა უკრაინაში დაღუპულ ქართველ მებრძოლებს ტაშით პატივი მივაგოთო, რასაც მხურვალე აპლოდისმენტები მოჰყვა. თუმცა, როცა იგივე მოწოდება უკრაინულ ენაზე გაჟღერდა, უკრაინელებს მადლიერება არ გამოუხატავთ...**

— ცნობილი ამერიკელი მსახიობები, პოლიტიკოსები თავიანთ გამოსვლებში პირდაპირ მიუთითებენ, რომ უკრაინაში წახალისებულია ფაშიზმი. ამის წახალისება აშშ-დან, ბაიდენისგან ხდება. დიახ, ჩვენი ქართველი ბიჭების სისხლი უკრაინელებს არაფრად უღირთ, ეს ფაქტია. ამ უმადურობისკენ მათ „ნაცმოძრაობაც“ უბიძგებს, რომელიც მუდმივად საკუთარ ხელისუფლებას ლანძღავს და უკრაინელებთან ერთად უკმაყოფილოა, ომში რომ არ ჩავერთეთ. ცოტა ხნის წინათ, უკრაინელი ახალგაზრდები ჩვენს ხელისუფლებას მოუწოდებდნენ: „ჯაველინები“ გადმოგვეცითო. **ამას გვეუბნებიან უკრაინელი დეზერტირები, რომლებიც, წესით, საკუთარ სამშობლოში უნდა იყვნენ, მას იცავდნენ, ამ დროს აქ ნებივრობენ და ომში ჩართვისკენ ჩვენ მოგვიწოდებენ. თან საქართველოს ხელისუფლებას საყვედურობენ: უკრაინას იარაღს რატომ არ აწვდითო. შე ოჯახაშენებული, დაბრუნდი უკრაინაში, იშოვე იარაღი და იომე შენი სამშობლოსთვის, აქ რას წამოწოლილხარ?!** პატივს გცემთ, თავშესაფარი მოგეცით, მაქსიმალურად გვერდით გიდგავართ, კიდევ რა უნდა გავაკეთოთ?! ჩვენ ნაკლები ზარალი მივიღეთ რუსეთისგან 90-იან და 2008 წლებში?! გვაყვედრიან, 2008 წელს ჩვენ გადავარჩინეთ საქართველოო. მიშას ტაშ-ფანდური ჰქონდა რუსთაველზე გამართული, „გამარჯვებას“ ზეიმობდა, უცხოელი პოლიტიკოსები ტრიბუნაზე იდგნენ და ამას გვაყვედრიან?! ტერიტორიების დაკარგვაა ქვეყნის გადარჩენა?! 2008 წლის გაუაზრებელ ომს უმრავი ქართველის სიცოცხლე შეეწირა.

**— ხაბეს, ჭიჭეს და აკიას ახალ ტრიუმვირატზე რას ფიქრობთ?**

— აკიაზე რა უნდა ვთქვა, ყველამ იცის, რაც აფხაზეთში და სამოქალაქო ომის დროს ჩაიდინა. მისი, ხაბეიშვილისა და ვაშაძის გადატრიალებული და ჩამოშლილი ხელისუფლება არ გაიშვას... რამდენიც უნდათ, იბაქიბუქონ. ნაცები ვირეშმაკები არიან. ვითომ სოლიდარობის გამოსახატად უკრაინაში გაიქცნენ, გადაიღეს სელფები და დაბრუნდნენ. ეს სოლიდარობა ისეთივე ყალბია, როგორც მიშაა დემოკრატიის შუქურა. ნაცები ვის ელაპარაკებიან დემოკრატიაზე, როცა თავიანთი მმართველობის დროს სისხლის გუბეები დააყენეს. შაპინი გვეუბნება: დემოკრატიის უკუსვლა გაქვთო. მაშინ სად იყო, მისი „შუქურა“ აქ სისხლის ტბორებს რომ აყენებდა. ნაცები თავიანთი რეჟიმის დროს, შიგნიდან ფასადურ დემოკრატიას აშენებდნენ და ამით მსოფლიოს ატყუებდნენ. სინამდვილეში, აქ დემოკრატია კი არა, ჯოჯოხეთი ტრიალებდა. ახლა კი ევროპულ გზაზე ლაპარაკობენ, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

ქართველი ხალხი გონიერია და ამათ ტყუილებს აღარ დაიჯერებს. წალენჯიხის მერი მმართველი პარტიის ოპოზიცია და მისი დაუძინებელი მტერია, ის საქართველოს ხელისუფლების ბიუჯეტიდან ფინანსდება. მის ფუნქციებში ცენტრალური ხელისუფლება არ ერევა. ეს კაცი ნაცების აქციაზე გამოვიდა და ხელისუფლებას სულ პრორუსი ეძახა. ერთი მაგალითი მითხარით, რომელი ოპოზიციონერი მერი გაბედავდა სააკაშვილის დროს მიტინგზე გამოსვლას და ხელისუფლების ლანძღვას?! იცით, სად იქნებოდა ახლა წალენჯიხის მერი, მიშას ეპოქა რომ ყოფილიყო? — ციხეში! ახლა კი აქციებზე გამოდის და იმ ხელისუფლებას ლანძღავს, რომლის ბიუჯეტითაც იკვებება. აი, ეს არის დემოკრატია. აბა, ის სისხლის ტბორები იყო დემოკრატია? სააკაშვილის დროს ასეთი გამოსვლის მერე იგი შეიძლება სიკვდილით დაესაჯათ. ან სულაც მის ოჯახს, ნათესავებსაც კი შექმნოდათ პრობლემები. დღეს ამის საშიშროება არ არის. იგივე ეხება მედიას, რომელიც დღეს, რასაც მოისურვებს და რაც ჟურნალისტებს ენაზე მოადგებათ, ყველაფერს ლაპარაკობს. კიდეც იგინებიან, კიდეც ილანძღებიან და მერე დასავლეთში ჩივიან: ჩვენი სიტყვის თავისუფლება იზღუდებაო. კარგად გაიხსენონ, რა პრობლემები ჰქონდა მედიას სააკაშვილის დროს!

**— ხელისუფლება 24 თებერვალს უკრაინაში არ ჩასულა. პრეზიდენტმა ამაზე განაცხადა: საქართველოს მთავრობამ თავი იზოლაციაში მოიქცია, დემოკრატიულ თანამეგობრობას გამოეყოო...**

— თვითონ რატომ მოიქცია თავი იზოლაციაში, რატომ არ ჩავიდა უკრაინაში? ამბობს: მოწვევა არ მიმიღიაო. აბა, მთავრობა როგორღა ჩავიდოდა იქ მოწვევის გარეშე?! არსებობს პროტოკოლი, რის გარეშეც უკრაინაში ვერც მთავრობა ჩავიდოდა და ვერც — პრეზიდენტი. უკრაინელებს ჰგონიათ, მიშა ხელისუფლებაში დაბრუნდება და საქართველო მათთვის საყრდენი გახდება ისე, როგორც მიშასთვის უკრაინაა. ახლა კანდიდატის სტატუსის მონიჭებაც სააკაშვილის თემას მიაბეს. ნაცები გაიძახიან: თუ ბელადს არ გაგვითავისუფლებთ, ევროპას დაემშვიდობეთო. მეტიც, თავად ევროპარლამენტარებმაც მიიღეს რეზოლუცია და მიშას გათავისუფლება მოითხოვეს. საოცარია, სააკაშვილზე ქართულ მართლმსაჯულებას სისხლის სამართლის საქმე ჰქონდა აღძრული, უკრაინის ხელისუფლებამ კი ეს დამნაშავე შეიფარა. უკრაინის ხელისუფლება ჩვენ პატივს არ გვცემს. მან მოქალაქეობა მისცა ადამიანს, რომელზეც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული და ოდესის გუბერნატორად დანიშნა. ამის საპირისპიროდ, საქართველოს ხელისუფლება უკრაინელ ხალხს თანაუგრძნობს, პატივს სცემს და მაქსიმალურად გვერდში უდგას. ის, რომ უკრაინის ხელისუფლება უღირსად იქცევა, არ ნიშნავს, რომ ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. ქართველებს თავმოყვარეობა გვაქვს და თვითნებურად იქ ჩასვლა საჭიროდ არ მივიჩნიეთ.

**— გახარიამ განაცხადა: ივანიშვილმა ყველაფერზე პასუხი უნდა აგოსო...**

— ვინც ივანიშვილისგან წავიდა, ყველამ გამოამჟღავნა, რანი არიან. ანუ, მათი ფასი კაპიკია. არცერთი მათგანი არ იმსახურებდა იმ თანამდებობებს, რაც ეკავათ. მარგველაშვილი წლებია, დღევანდელ ხელისუფლებას უპირისპირდება, მაგრამ განა ერთხელ მაინც უხსენებია, რომ ივანიშვილი მის საქმიანობაში ერეოდა? ან ბახტაძეს, კვირიკაშვილს, იგივე გახარიას დასცდენიათ ოდესმე მსგავსი რამ. ახლა რომ ამბობს გახარია, ივანიშვილმა პასუხი უნდა აგოსო, მას ვეკითხები: საერთოდ არ გრცხვენია?! **რისთვის უნდა აგოს ივანიშვილმა პასუხი, იმ სიკეთეებისთვის, რაც ქვეყანას უანგაროდ გაუკეთა?! სირცხვილი არ არის?!**. დაუჩემებიათ: ივანიშვილი ფარული მმართველიაო. ეს ხომ მტკნარი სიცრუეა. გახარიას ვეუბნები: კი, დამნაშავეა ივანიშვილი, შენ რომ გენდო, აბა, რა არის!

**— გასულ კვირას „ვივამედში“ ექიმებმა ბრიფინგზე აღნიშნეს, რომ 1700 კალორიის ნაცვლად, სააკაშვილი ოჯახის მიერ მიტანილ 300 კალორიას იღებს. დედამისმა განაცხადა: მე კი არ მიმაქვს ცოტა, არამედ მოწამლულია და ვერ ჭამსო.**

— სამარცხვინოა ეს საქციელი ადამიანისგან, რომელსაც ყოფილ პრეზიდენტს ვუწოდებთ. იგი ხომ საქართველოს ისტორიაში პრეზიდენტის სახელით უნდა შევიდეს. როგორ ისვრის ტლინკებს. მრცხვენია, როცა ვიაზრებ, რომ სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი იყო. თუ მას ჭამა არ უნდა,

13 გვ. →

# „და მე ვმღერი: – აფხაზეთი ჩემი“!



რასაც ახლა ვიტყვი, მომავალი წლის ამ დროსაც ვიტყოდი, მაგრამ ახლა თქმითაც არაფერი დაშავდება, პირიქით, იქნებ ვინმეს (ვინმეებს) მიავიწყდა ზოგი რამ და შევახსენებ, მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საქმისთვის წინდაწინ ემზადებიან...

ეს ამბავი საქართთველოს დღეს არსებული ხელისუფლების დროს მოხდა. 2014 წლის 24 ნოემბერს აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა რუსეთთან გაფორმებული მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ე.წ. ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. რაულ ხაჯიმბასა და ვლადიმირ პუტინის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი საერთო სამხედრო დაჯგუფების შექმნას, ფსოუზე საზღვრის გაუქმებასა და ენგურზე ადმინისტრაციული საზღვრის გაძლიერებას, ასევე, რუსეთის მიერ აფხაზეთში სხვადასხვა სფეროს დაფინანსებას ითვალისწინებდა. ხელშეკრულება ათი წლის ვადით გაფორმდა და, საჭიროების შემთხვევაში, ვადის გახანგრძლივებას ითვალისწინებს. რატიფიცირებას 23-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, ხოლო წინააღმდეგ ხმა მისცა 5-მა.




მას შემდეგ, რაც რუსეთ-აფხაზეთის ე.წ. ხელშეკრულება გაფორმდა, საქართველოში ჩვეული თვალთმაქცური პოლიტ-გნიასი ატყდა მავანთაგან, რასაც ფონად გასდევდა აშშ-ის ელჩის რიჩარდ ნორლანდის კიდევ ერთი (მერამდენე) დასტური, რომ აშშ სოჭში გაფორმებულ შეთანხმებას უკანონოდ მიიჩნევს და ძალზე მნიშვნელოვანი ყოფილა, საერთაშორისო ორგანიზაციებში ასე მკაფიოდ და ხმამაღლა რომ გაისმის ამ მიმართულებით აშშ-ის ხმა.

როგორც ყოფილმა საბჭოთა საქართველომ იწვნია საკუთარ ზურგზე, „აშშ-ის ხმა“ მხოლოდ საბჭოთა კავშირისდროინდელი გადმოყოლილი ილუზია ყოფილა რადიოსადგურ „ამერიკის ხმაზე“ და მეტი არაფერი...

ფაქტი სახეზეა, რა გააკეთა მსოფლიო დემოკრატიის გუშაგმა საიმისოდ, რომ პატარა, მაგრამ ძალგულოვან მეგობარ საქართველოს დახმარებოდა? — არაფერი, პირიქით კი მოხდა, სწორედ მას შემდეგ ჩამოეჭრა ტერიტორიები, რაც აშშ-მ საქართველოსთან მეგობრობა წამოიწყო. ეს ის სიმართლეა, რომლის ხმამაღლა და მკაფიოდ თქმისაც რატომღაც ყველას ერიდება!

იმავდროულად, თავის მხრივ NATO-ს გენერალურმა მდივანმა და პუტინის მეგობარმა იენს სტოლტენბერგმა გაავრცელა განცხადება, რომ NATO სრულად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს საერთაშორისო აღიარებულ ფარგლებში, ამიტომ NATO არ ცნობს იმ ე.წ. ხელშეკრულებას, რომელიც საქართველოს რეგიონ აფხაზეთსა და რუსეთს შორის გაფორმდა.

უპირველესად ის ვთქვათ, რომ რუსეთის ქმედებები სწორედ საქართველოში NATO-ს ნებისმიერი ფორმით არსებობის ღია გამოძახილია — რუსეთს არანაირად არ სურს საკუთარი ქვეყნის სამხრეთ საზღვართან მისი არსებობის მცირეოდენი ნიშანიც კი; და შემდეგ — რა მოცემულობა შეიცვალა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებით საქართველოსთვის, მისი მოქალაქეების, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის? არაფერი! საქართველოსთვის აფხაზეთის ტერიტორია წლებია, ოკუპირებულიცაა, ანექსირებულიც, დაპყრობილიც, მიტაცებულიც და ა.შ. თუ ვინმესთვის რაიმე შეიცვალა, ეს მხოლოდ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხისთვისაა ცვლილება — ეს არც პირველი ხელშეკრულება-შეთანხმებაა და არც მეცხრე, მაგრამ მიიღეს...

როდესაც სოხუმის დე-ფაქტო მთავრობამ მოიწონა სამოკავშირეო ხელშეკრულების ფორმა, ხელისუფლების ადმინისტრაციასთან აფხაზების უხუცესთა საბჭო (და „ამცხარას“ წევრები) შეიკრიბა და უარი განაცხადეს ისეთი ხელშეკრულების გაფორმებაზე, რომელიც მათი აზრით, აფხაზი ხალხის უფლებებს არღვევდა. ჯერ კიდევ წლების წინ იყო მსგავს ხელშეკრულებაზე საუბარი, რაზეც მაშინ სერგეი ბაღაფშმა თქვა უარი...

იქით რას „პუტუნობდნენ“, ერთია, აქეთ კი — რაზეც ერთმანეთში თანხმდებოდა ეს ორი მხარე და როგორც ფეხზე ეკიდათ საერთაშორისო საზოგადოების აზრი წლების განმავლობაში, კვლავ ისევ ფეხზე ჰკიდიათ. საკვირველია, რატომ გახდა ეს ხელშეკრულება იმ პოლიტიკური ჯგუფებისა თუ კონკრეტული პირების სალაპარაკო, რომელთაც თვითონ შეუწყვეს ხელი 2008 წლამდე რუსეთის მიერ მიტაცებული ფართობის მატებას რაღაც არ მახსენდება, ასე ეყვირათ 2008 წლის მოვლენების შემდეგ, არიქა, გვიშველეთ, საზიზღარი ოკუპანტი კიდევ გვართმევს ტერიტორიებსო...

მხოლოდ ამ ხელშეკრულების შემდეგ „აღმოჩნდა“, რომ მხოლოდ ეს „რაღაც“ ხელშეკრულება ყოფილა აფხაზეთის პირდაპირი ანექსია და ანექსიის ლეგალიზაცია — აქამდე რა იყო (ერქვა), ირიბი და იატაკქვეშა ანექსია?

2008 წლის ომამდე არსებული კიდევ რაღაც თეორიული იმედი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომით აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დავიბრუნებდით (ჩემთვის სამაჩაბლოა. „სადაც ქვების გროვის გარდა არაფერი დაკარგულა“, — მ. სააკაშვილი. 114 სოფელზეა საუბარი), ორივე რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებით, ფაქტობრივად, წაართმევინეს რუსეთს. ის თუ ანექსია და ანექსიაზე უარესი არ იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან გამიზნულად დაშვებული, აბა, რა იყო?! არადა, გავიმარჯვეთო, მსოფლიოს წინაშე ნიღაბი ჩამოვხსენით რუსეთსო... ამის მოთავე დამნაშავე სახელისუფლებო გუნდის წევრები ენის ჩაგდების ნაცვლად სპეკულანტობდნენ: „ახალ ეტაპზე გადავიდა ის დანაშაულები, რომლებიც ისედაც ხორციელდება საქართველოშიო“, — „ოცნებას“ პწკენდნენ...

პატრონი არ ჰყავს საქართველოს, თორემ სწორედ „ეტაპით“ უნდა აგზავნიდნენ მათთვის კუთვნილ „ოთახებში“ 2008 წლის 8 აგვისტოს (არა მხოლოდ) შემოქმედები...

ელემენტარულია, 2009 წელს, როდესაც გაერო-ს მისიის შენარჩუნების საშუალება ჰქონდა საქართველოს, რატომ გაუშვა ხელიდან ეს შესაძლებლობა სააკაშვილის „გაეროსმოყვარე“ ხელისუფლებამ? რატომ არ სურდა სამშვიდობო პროცესის გაგრძელება 2006 წელს, როდესაც სულ ცოტა ხნით ადრე, 2004 წელს „პუტინის თვალები მოდაში“ იყო? — ძალიან ბევრი რამ არის მნიშვნელოვანი, გასახსენებელი და საინტერესო...

რა უძღვოდა წინ რუსეთ-აფხაზეთის შეთანხმების გაფორმებას — უახლესი წარსულის ავანტურები ხომ ხელისგულზე გვედო, მაგრამ მაშინ, ახალდროების რუსეთის საეჭვოდ მოძულე ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა, ალასანიამ წამოუწყო საკუთარი პრობლემებით გაავებულ და ბუნებით აგრესორ რუსეთს ხახაში ჯოხის ჩუჩხური. აშშ-ში სტუმრობისას საქართველოში NATO-ს საჰაერო თავდაცვითი საშუალებების განლაგების შესახებ ისეთი დააბრეხვა, „საქართველოში უნდა განთავსდეს საჰაერო თავდაცვითი შესაძლებლობები და რუსეთი მიხვდება, რომ თქვენ სერიოზულად უდგებით საკითხსო,“ რომ მასპინძელთაგან ვის რა მიმიკა გამოესახა ალასანიას სიტყვებზე, ძნელი გადმოსაცემია. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა ალასანიას ცოლისდასლა „გაუმხილა“ ერთობლივ კონფერენციაზე საქართველოს დასავლეთელი მეგობრების ზოგადი აზრი: „დარწმუნებული ვარ, არის კიდევ სხვა გზა, რომელიც ჩვენ საქართველოში უსაფრთხოების გაძლიერებისკენ მიგვიყვანს-ო“ (აქეთ ბატონი სესიაშვილი „შეწუხდა“, ბატონი მინისტრის რიტორიკის ანალიზს მე ვერ გავაკეთებ, რატომ თქვა ასეო, ანუ ბატონი ალასანიას ნათქვამი მთავრობასთან შეთანხმებული არ ყოფილა).

გაიჭედა ალასანია და დაიწყო აბდაუბდა — იქით პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ვითომ წააშველა სიტყვა, განცხადება ნაჩქარევი იყოო; საერთოდაცო, თავდაცვის მინისტრი განცხადებას აკეთებს მას შემდეგ, რაც პოლიტიკური თუ სამართლებრივი გადაწყვეტილება მთავრობის დონეზეა მიღებული და ასეთი განცხადებების გაკეთების დროს სიფრთხილეა საჭიროო; შემდეგ, ეტყობა, ქალურმა გუმანმა რაღაც უკარნახა და იფიქრა, ნეტა, მე რა მრჯისო და გადაამისამართა, ეს როგორ მოხდა და რა მოხდა, ამაზე დეტალურად თავად ირაკლიმ უნდა ისაუბროს, გნებავთ, პრემიერმაო (პრემიერის ხსენება ხომ მთლად გასაოცარი იყო, ალასანიამ თქვა და ღარიბაშვილს უნდა განემარტა?).

იქით — უშიშროების საბჭოს მდივანმა, ირინა იმერლიშვილმა თქვა, ასეთ განცხადებას რომ აკეთებს თავდაცვის მინისტრი, შეთანხმებული უნდა იყოს მთავარსარდალთან და, ასევე, განხილული უნდა იყოს უშიშროების საბჭოზეო. თუმცა, კოლეგიალობის გამო დასძინა, რომ განცხადების არსს ეთანხმებოდა.

ერთადერთი, ვინც ბეჭედი დაასვა ალასანიას „ინიციატივას“, ბოკერია ბრძანდებოდა, 2008 წლის აგვისტოს ომის ერთ-ერთ ინიციატორად მიჩნეული, მხოლოდ თავდაცვის მინისტრი კი არ აუნდა აზმოვანებდეს ამ მოთხოვნას, ყველამ ერთხმად უნდა დავსვათ ეს საკითხიო.

თავდაცვის საჰაერო სისტემების დაყენებას ვაპირებო, რომ მოილია, ახლა საქართველოში არსებული სამხედრო სასწავლო ცენტრი გამოაცხადა NATO-ს ბაზად...

საუბარი იმ ალასანიაზეა, ყველას რომ გადაუსწრო ტელეეთერში გამოჩენით და ბრტყელ-ბრტყელი დემაგოგიური, შეურაცხმყოფელი და ამბიციური საუბრებით, რაღაც კავშირში რომ იყო რუსეთთან. თუ



სიტყვა „კავშირი“ არ ესადაგება, მაშინ რა ჰქვია იმას, ირაკლი ალასანია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სამშვიდობო გეგმას სწორედ იმ მიმართულებით რომ ემხრობოდა, რომელიც კრემლის ინტერესებში შედიოდა? რატომ ითხოვდა ახალი ხელისუფლების პირველ პოლიტპატიმრად სახელდებული კოდორის დამცველი ემზარ კვიციანი ალასანიასგან პასუხს შეკითხვა-მოთხოვნაზე: მიპასუხოს ალასანიამ, რატომ ჩააბარა კოდორიო და რატომ ითხოვდნენ სამხედრო და სახელმწიფო უშიშროების საქმეებში ჩახედული საზოგადოებისთვის ცნობილი, მაგრამ იმჟამად სახელმწიფო სამსახურებიდან განზე მდგარი პირები კოდორის საქმის გამოძიებას? ფაქტობრივად, ალასანია მაშინვე ეპატიჟებოდა აშშ-იდან რუსეთს საქართველოსთან საომრად. ვის დაკვეთას ასრულებდა ალასანია? ამბობდნენ, ირაკლი ალასანია აშშ-ში ყოფნის დროს კონსულტაციებს გადიოდა თემურ ალასანიასთანო. შეხვედრებს ესწრებოდა გენერალ კალუგინთან დაახლოებული ორი პირი და ბელორუსის უშიშროების კომიტეტის სამი მაღალჩინოსანი, ამის შემდეგ მოითხოვა NATO-ს რაკეტების საქართველოში განლაგება ალასანიამო.

რას ნიშნავს რუსეთთან ძალისმიერი დაპირისპირება, ან სულაც მისი პროვოცირება, თუ ეს ნებისმიერი ქვეყნის თავდაცვის მინისტრს არ ესმიოდა, ის კაცი თავდაცვის მინისტრი არ უნდა ყოფილიყო, საუკეთესო შემთხვევაში, იმპიჩმენტის დაუყოვნებლივ მოთხოვნა იყო საჭირო, ხოლო ნორმალური ქვეყანა რომ ვყოფილიყავით, სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო. მაგრამ აქ „რაღაც კაბელების“ დევნა უფრო საინტერსო აღმოჩნდა და არც „კაბელების საქმე“ მიიყვანეს ბოლომდე. ბოლომდე კი არა, თავშივე „დაატორმუზეს“... ამიტომ მდევს ეჭვი, რომ ერთი მათგანი, ვისზეც სისხლის სამართლის დევნისგან ხელშეუხებლობა მოსთხოვა „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აშშ-მ, ალასანია იყო...



დღევანდელმა საქართველოს ხელისუფლებამ საქართველოსთან ერთად ერთადერთი გზა აირჩია — მშვიდობა და სტაბილურობა!

სამწუხარო ერთია და გასაოცარია, რომ ადამიანები, რომლებიც რაღაც მანქანებით პოლიტიკოსებად იწოდებიან, დიპლომატიის ინჩი-ბინჩი არ იციან, ხოლო ვინც იცის, საქმეს ახლოსაც არ აკარებენ. თუმცა, რა გასაკვირია, ე.წ. პოლიტიკოსები ხომ სწორედ „რაღაც მანქანებით“ არიან დანიშნულები პოლიტიკოსებად, რომელთა ფასი, როგორც პოლიტიკოსებისა, ნულია. ამიტომ, იქნებ დამთავრდეს ის მავნე პრაქტიკაც, რომ პოლიტიკოსად კონკრეტული პირები დაინიშნონ?..

ნუთუ აღარავის ახსოვს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის სესიის ფარგლებში გამოსვლისას რა კითხვა დასვა საქართველოს პარლამენტის მაშინდელმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა: „ჩვენ გვესმის, რომ თუ საქართველო NATO-სკენ ნაბიჯს გადადგამს, ეს მოსკოვის მხრიდან მორიგ აგრესიას გამოიწვევს. ჩვენ ვრისკავთ და ამიტომ გვჭირდება პასუხი კითხვაზე: რას მოიმოქმედებთ, თუ საქართველო რუსეთის მორიგი სამიზნე გახდება?“ — იკითხა ბატონმა უსუფაშვილმა და კითხვა უპასუხოდ დარჩა. რას ნიშნავდა და ნიშნავს ეს დღესაც?!

მისმა თანამეცხედრემ განაცხადა: „თუ ევროპა და ამერიკა მიიღებენ თამამ გადაწყვეტილებას და იტყვიან, რომ რუსეთის შესაჩერებლად მზად არიან შუაგულ ევროპაში ომისთვის, ეს პუტინს შეაჩერებს, რადგან დასავლეთთან ომისა შეეშინდება — ეს არის მთავარი ტესტი.“

კი, როგორ არა, შიშით გული მისდის ამ სიტყვების ავტორს დღესაც, როცა, ფაქტობრივად, ნატოს (ნაწილობრივ ევროკავშირს) ებრძვის: «Суверенитет постсоветских государств отныне является жестко обусловленным учетом интересов России. В случае «перехода черты» (втягивания в НАТО, в ЕС, попыток размещения военных баз) Россия будет действовать».

ესეც პუტინის სიტყვებია: «Меня спросили: Европа объединяется против России... Вам не страшно? Я ответил: Мы уже сталкивались с объединенной Европой в 1812 и 1941 г.г. Это им должно быть страшно...»

თავის მხრივ, სტავროპოლში გამართულ საეკლესიო ფორუმზე მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების თავმჯდომარემ, დეკანოზმა ვსევოლოდ ჩაპლინმა განაცხადა: „იმ შემთხვევაში, თუ აშშ-ისა და მისი მოკავშირების მხრიდან პირდაპირი გამოწვევა იქნება, რუსეთს აქვს ყველა შესაძლებლობა, უზრუნველყოს უსაფრთხოება და სტაბილურობა მსოფლიოში ჩინეთთან, ისლამურ სამყაროსთან და ლათინურ ამერიკასთან ერთად. ჩვენ მოვიგერიეთ ის მოდელები, რომელთაც ძალადობით გვახვევდნენ, მაგრამ ერმა არ მიიღო; ჩვენ გავიმარჯვეთ მათზეც, ვინც დღეს ცდილობს, ჩვენი ცხოვრება მოაწყოს ჩვენი წესებისა და ჩვენი პრინციპების გარეშე; ჩვენ გავიმარჯვებთ ამერიკაზეც და მათზეც, ვინც მას უმღერის — აუცილებელი არ არის, ეს საომარ ველზე მოხდეს. თუმცა, თუ ასეთი გამოწვევა იქნება, ჩვენ არ გვაქვს უფლება, გამოწვევაზე უარი ვთქვათ.“

იყო ბევრი რამ, რაც საქართველომ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს და, ვფიქრობ, უკვე დაიწყო გათვალისწინება...

ღიად გეუბნებოდა გერმანიის ელჩი ორთვინ ჰენიგი: „საქართველომ უნდა გააცნობიეროს ორი რამ: პირველი — II მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთთან ჩამოყალიბებული სტატუს-ქვო და პოლიტიკური ურთიერთობა უმნიშვნელოვანესია არა მხოლოდ გერმანიისთვის, არამედ მთელი დასავლეთი ევროპისთვის. ეს ურთიერთობა მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტიაა დასავლეთ ევროპაში და მას ევროპის პოლიტიკური ელიტა თავის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად მიიჩნევს. ამიტომ, ჩვენ არ ვაპირებთ, ეს ყველაფერი ქარს გავატანოთ. შეხედეთ რუკას დასავლეთ ევროპის გადმოსახედიდან და გაიხსენეთ, რად დაუჯდა დასავლეთ ევროპას ორი მსოფლიო ომი და რუსეთის როლი ამ ომებში. ახლა, როცა ეს ყველაფერი მოგვარდა და ევროპაში სტაბილურობამ დაისადგურა, ბუნებრივია, ამას საქართველოს გამოც კი ვერ შეველევით.

მეორე — საქართველო ვერ გახდება NATO-ს წევრი მანამ, სანამ არ იქნება გარანტია იმისა, რომ საქართველო ამ წევრობას არ გამოიყენებს რუსეთთან დასაპირისპირებლად.“ არადა, საქართველოს მოკლე თვალთახედვის ხელმძღვანელებს მხოლოდ ამ დანიშნულებისთვის ესახებოდათ ცბიერი NATO...

ექსპერტი იუჯინ კოგანი: „შენელებული ინტერესისა და ორაზროვანი შეხედულებების გათვალისწინებით, საქართველო არ უნდა ელოდოს ევროპისგან რაიმე მნიშვნელოვან მხარდაჭერას რუსეთთან მისი ურთიერთობების გრძელვადიანი ნორმალიზაციის საკითხში. არც იმის პერსპექტივა ჩანს, რომ ახლო მომავალში ევროპა ინიციატივას გამოიჩენს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან კონფლიქტის მოგვარებაში — საქართველომ ეს გზა თვითონ უნდა გაიაროს და მან ეს უნდა გაიგოს. კერძოდ, უნდა გაკეთდეს არჩევანი — დაბრუნება განახლებულ „საბჭოთა კავშირში“, სვლა ნელთბილი ევროკავშირისკენ თუ, რადაც უნდა დაუჯდეს, საკუთარი სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის აღიარება. რეალობა გვიჩვენებს, რომ სამხედრო თვალსაზრისით უძლურმა ევროკავშირმა ბედის ანაბარად მიატოვა საქართველო.



ამათანავე, ევროკავშირს არ სურს რუსეთთან დაპირისპირება საქართველოს მიზეზით და ამის გამო საქართველოს მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. ამას თითქოს აცნობიერებენ საქართველოს ოფიციალური პირები, მაგრამ არ სურთ ამის აღიარება. აშკარაა, რომ საქართველოს პოლიტიკური წრეები შეცდნენ, როცა ივარაუდეს, ან, შესაძლოა, წარმოიდგინეს, რომ ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ორმაგი პოლიტიკის განხორციელება შეიძლებოდა. ევროკავშირის წარმომადგენლებმა დატოვეს საქართველო ბედის ანაბარად და, ფაქტობრივად, თქვეს: „ჩვენ გეხმარებით თქვენ საქართველოში, რომ გააუმჯობესოთ ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ თვით პროცესთან დაკავშირებით. ასე განაგრძეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ!“

ამრიგად, საქართველომ კარგად უნდა აწონ-დაწონოს და სამიდან ერთ-ერთი არჩევანი გააკეთოს: 1) გაჰყვეს ჩრდილოატლანტიკური ინტეგრაციის კურსს ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, რადგან „ევროპული ოცნება“, შესაძლოა, ვერ ასრულდეს და NATO-ში გაწევრიანების მიზანი თანდათანობით მინავლულ მოგონებად იქცეს; 2) შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა მარტომ, ყველანაირ ფასად; 3) დაელაპარაკოს ოკუპანტ რუსეთს.

მკაფიოდ თქვა მაშინ პუტინმა და არაფერი ეტყობა, რომ აზრი შეიცვალა: „მცოცავი ოკუპაციის პოლიტიკა გაგრძელდება სრული სვლით და თქვენ,საქართველოში, შეგიძლიათ დაიჩივლოთ იმდენჯერ, რამდენჯერაც მოგინდებათ. თქვენი მხარდამჭერები ევროკავშირიდან კვლავაც მოკრძალებით მოიქცევიან და ფრთხილადაც ილაპარაკებენო.

თუ თქვენ აირჩევთ მართებულ გზას, ეს თქვენთვის იქნება სასიკეთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, შედეგზე პასუხისმგებლობა თქვენვე დაგეკისრებათ!“

„დღეს მხოლოდ სულელი არ გააკეთებს დასკვნებს იმ მოვლენებიდან, რომლებიც ჩვენ გარშემო მიმდინარეობს,“ — განაცხადა უკრაინის მოვლენების კვალდაკვალ მაშინდელმა პრეზიდენტმა ლუკაშენკომ.

რა ღვთის რისხვა გვჭირს ასეთი, რომ გათვალულები სულელებივით დავბორიალობთ არარსებული და, რაც მთავარია, ყოვლად უსარგებლო მიზნის მისაღწევად მბრუნავ ბორბალში გამომწყვდეული ციყვივით?

წლებია, პოლიტიკოსებად სახელდებული ქართველები ვიღაცის წაქეზებით ბავშვებივით იქცევიან...

ქართულ-რუსული ურთიერთობების მოგვარება, როგორც ჩანს, არავის უნდა. მთელი ქართული საგარეო პოლიტიკური კურსი გაშეშებულია იმ მდგომარეობაში, რომელიც დღეისათვის ბრალდებულმა საქართველოს პრეზიდენტყოფილმა „დააკანონა“: „რუსეთი ოკუპანტია, დასავლეთი — მეგობარი!

ნუთუ ასე ძნელია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, აწ მრავალ დანაშაულში ეჭვმიტანილი მიხეილ სააკაშვილის ავადმყოფური აკვიატებების ჩრდილიდან გამოსვლა და იმის გაცხადება, რომ საქართველო ყველას მეგობარია?

როდესაც ყველა ქვეყანა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობს, საქართველო რატომ უნდა ატარებდეს სხვის ინტერესებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგოდ?

ერთი რამ ნათელია, სანამ საქართველოს პირში ცარელ ნემსკავად „პაპლავოკი — NATO და კამპანია“ ედება, მანამდე გაგრძელდება მისი დაქუცმაცება, რაც, საბოლოოდ, გააქრობს კიდეც, უკეთეს შემთხვევაში კი სწორედ იმ ფარგლებში დარჩება, რომელიც წლების წინ მოხაზა ჟირინოვსკიმ: „საქართველო. მასშტაბი — თბილისიდან ქუთაისამდე...“

საქართველოს ხელისუფლებავ — მომავალ წელს გასდის ვადა რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებას!..

**ნინო დაუშვილი**

# ქართველთა „დავით წინასწარმეტყველი“ მსოფლიოს მშვიდობისკენ მოუწოდებს

## სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, ილია მეორეს

**მცხეთის რაიონის სოფელ საგურამოს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის - „დავით გურამიშვილის დარბაზის“ სამეცნიერო ხელმძღვანელის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საქართველოს საპატრიარქოს ყოფილი პატროლოგის, დენიზა სუმბაძის ღია წერილი დავით გურამიშვილის წმინდანად შერაცხვასთან და მისი ნეშტის გადმოსვენებასთან დაკავშირებით უკრაინის ტერიტორიიდან მშობლიურ ქვეყანაში.**

**თქვენო უწმიდესობავ !**

უპირველესად, მოგილოცავთ თქვენი აღსაყდრების 45 წლისთავსა და ქრისტეშობის 2023 წლის შემობრძანებას თქვენი დაბადების დღის 90 წლისთავთან ერთად საქართველოს მიწა-წყალზე! მთელი გულით შევთხოვ უფალს თქვენი ჯანმრთელობის ძლიერებასა და თქვენს მზეგრძელობას, რაც დღეს ჰაერივით სჭირდება განსაცდელში ჩავარდნილ ქართველ ერსა და მის სახელმწიფოებრივ თვითგამორკვევას!



თქვენო უწმიდესობავ! დავით გურამიშვილის გარდაცვალებიდან ორი საუკუნის შემდეგ ინება უფალმა და მის მშობლიურ სოფელ საგურამოში, საგურამოს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეკრებილ თანამემამულეთა მიერ, „დავით გურამიშვილის დარბაზის“ პირველივე საწარდგინებო სხდომაზე დაისვა საკითხი დიდი ქართველი მგოსნისა და დიდაქტიკოსის, ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ქართველთა „იობად“ წოდებული დავით გურამიშვილის წმინდანად შერაცხვისა და მისი ნეშტის გადმოსვენების შესახებ, უკრაინის ქალაქ მირგოროდის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის ეზოდან მის მშობლიურ ქვეყანაში.

მოგეხსენებათ, დავით გურამიშვილის საფლავს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი ეძებდნენ და წუხდნენ მისი ანდერძის შეუსრულებლობის გამო: „გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო...“ - მიმართავს დავით გურამიშვილი მზედ დასახულ თავის სამშობლო ქვეყანას... დღეს მისი ანდერძის აღსრულების გადაუდებელ გამოწვევად გვევლინება მისი საფლავის მდებარეობა უკრაინის ტერიტორიაზე, სადაც მიმდინარეობს გაურკვეველი პერსპექტივის შეიარაღებული დაპირისპირება რუსეთსა და უკრაინას შორის.

**ბატონმა სიმონ შარაძემ** დამიდასტურა, რომ არსებობს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით თქვენი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით დადასტურებული გურამიშვილთა საგვარეულოს ისტორიული უფლებამოსილება შიომღვიმის, ზედაზნისა და საგურამოს ძვალთშესალაგის კუთვნილებისა, რაც იმედს გვანიჭებს, რომ დავით გურამიშვილის გადმოსვენება იქცევა მთელი ქართველი ერის, მისი სასულიერო და საერო ხელისუფლების ეროვნული ჭირისუფლობის ერთიან ძალისხმევად: თქვენი ლოცვა-კურთხევით, ქართული სული წარუძღვება აღსრულებად ორ ანდერძს დავით გურამიშვილისას: პირველი ანდერძის - **„გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენკერძ დამმარხეო“** და მეორე ანდერძის – როგორც ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხისადმი დანატოვარს: რომ მარადჟამ იდგნენ ისინი ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთისადმი მოყვასის ქრისტიანული სიყვარულით, როგორც ეს სიმბოლურად განხორციელდა მის პირად ცხოვრებაში: დაღესტნელი გამუსულმანებული ლეკების მიერ აღმოსავლეთის ბაზრებზე გასაყიდად გატაცებულ და ორმოხაროში ჩამწყვდეულ დავით გურამიშვილს, რომელიც ღვთის შეწევნით ორმოდან ამოღწევს და ჩრდილოეთით გაიქცევა გამტაცებელთაგან თავის დასაღწევად, დაღლილობისა და შიმშილისგან ცოცხალ-მკვდარს, ერთი რუსი ყაზახი შეიკედლებს საოცარი თანადგომითა და სიბრალულით, რასაც თავად დავით გურამიშვილი თავის „დავითიანში“ აღწერს:

**როგორც რომ ერთმან ყაზახმან,**
**მე მაშინ მამიარაო**
**როცა რომ მყვანდა, მივლიდა,**
**მე მამაჩემი, არაო.**
**შევბრალდი, გულზედ მიმიქვა,**
**მკოცნა და ცრემლი ღვარაო.**

არ შეიძლება, აქვე არ აღვნიშნოთ ის უმთავრესი და ძალზედ მნიშვნელოვანი, დავით გურამიშვილის ფენომენის სრულიად უნიკალური აღნაგობა მისეული სულიერი ცხოვრების იგავისა, როგორც კაცობრიული სიყვარულისა, მისი ბიოგრაფიული თავგადასავლიდან გამომდინარე! ეს დაუვიწყარი და მარადიული მადლიერება რუსული და უკრაინული სიკეთისადმი და მისი პიროვნული მოწოდება თავისი ბიოგრაფიის სამივე ხალხისადმი: ქართველი, რუსი და უკრაინელი ხალხისადმი თან ერწყმის საქა-





რთველოდან თანდაყოლილ თაყვანისცემასა და აღფრთოვანებას შეუწვდომელი რუსთველისა და დავით წინასწარმეტყველისადმი. არ არსებობს მსოფლიო ლიტერატურაში და საერთოდ მსოფლიოს ისტორიაში იმხელა სიყვარული დავით წინასწარმეტყველისა, როგორც მეფისა და მგოსნისადმი, რამხელაც ჩაბუდებულია დავით გურამიშვილის ცნობიერებაში! ეს უბადლო სულიერი კავშირი და აღფრთოვანება დავით გურამიშვილისა ბიბლიური მეფის, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნთა „წალკოტით“, როგორც თავად უწოდებს იგი, დავით გურამიშვილი ბიბლიური მეფის ფსალმუნთა კრებულს, თავად მასაც განაწყობს, და არ ფარავს ის ამ განწყობას,,რომ თავადაც დავითმა, თანამოსახელემ დავით წინასწარმეტყველისამ, თვითონაც უწოდოს თავისი სულის დღიურებს, საკუთარ თხზულებათა კრებულს, საკუთარ სულიერ მოძღვრებად ჩამოღვენთილსა და მშობლიური ერის სულიერი წვრთნის სამიზნედ გათვლილ აღწერას ქრისტესთან შეღაღადების უწყვეტი და საკრალური წუთებისას: **„დავითიანი“**. თავისი პოეზიის კრებულად წარმოდგენილი მთელი თავისი შემოქმედებითი ნაღვაწის „დავითიანად“ წოდებითა და ამ „დავითიანის“ დაშვილებით, ხოლო შემდეგ მისი წარმოგზავნით თავისი სამშობლოს შვილად, დავით გურამიშვილი, დავით წინასწარმეტყელის პოეზიით აღფრთოვანებული, დავით წინასწარმეტყველის სიყვარულითაც ედავითწინასწამეტყველება თავის მშობლიურ ხალხსა და ქვეყანას.

ასე აღმოჩნდება ქართველი ერი ორი „დავითნის“ მფლობელი: 1) ისრაელის ბიბლიური მეფისა და 2) თავისი წარმომავლობით, ჰერეთის საქართველოს თავადური მოდგმის დავით გურამიშვილისა!..

ასე გვევლინება რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა ბიბლიად, ხოლო უკრაინაში დაწერილი დავით გურამიშვილის „დავითიანი“ ქართველთა საკუთარი და მშობლიური „დავითნის“ წიგნად. ეს, ალბათ, დიდი და საგანგებო თემაა ქართული ცნობიერების ისტორიის... მაგრამ დღეს მთავარია მაინც თავისთავად ის ფაქტი, რომ სამშობლოს დანატრებული დავით გურამიშვილი აქამდე არ გაუშვა უფალმა უკრაინის მიწიდან, არც ცოცხალი და არც მკვდარი, არ უნდა იყოს ეს შემთხვევითი...

**უფალმა ინება და რუსეთ-უკრაინის ამ ტრაღიკულ შეიარაღებულ დაპირისპირებაში დავით გურამიშვილის საფლავზე, ძმათაშორისი მშვიდობისა და ერთგულების მომწოდებელი დავით გურამიშვილის სახელი, კელაპტარივით, თვით უფალმა აანთო, და ღვთისგანგებითვე აღმოჩნდა დავით გურამიშვილის მშობლიური ხალხის წინაშე აღმართული კითხვა: შესწევს დღეს უნარი დავით გურამიშვილის მზე-სამშობლოს, დღევანდელ საქართველოს, და მის ჭირისუფალ ერს, მსოფლიოს წინაშე წარსდგეს, როგორც ღირსეული ჭირისუფალი საკუთარი დიდი შვილისა, დავით გურამიშვილის, მსოფლიო მნიშვნელობის დიდაქტიკოსისა და მოაზროვნის, იმისათვის, რომ რუსეთ-უკრაინის ომის შემომქმედს, მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის“ მიმყვანს რუსეთ-უკრაინის ომამდე, მსოფლიოზე რუსეთ-უკრაინის შეიარაღებული ომის თავსმომხვევ ძალას უთხრას ხმამაღალი სიტყვა: - ეს არ არის მსოფლიოს წესრიგი! ჩვენ, ქართველი ერი, მხარს ვუჭერთ მშვიდობიან მოწესრიგებას კაცობრიობის ცხოვრებისას და არა „წესრიგს“ ერების ლიკვიდაციისას და მსოფლიოს ხალხებზე პანდემიური ვირუსული ომების გამართვის.**

როგორც თავად ბრძანებთ, ეპისტოლეთი: ქვეყანა გაუგებრობებით არის მოცული და დამსგავსებული „ბაბილონს“, და ეს იმ ვითარებაში ხდება, როდესაც ნამდვილი მსოფლიო წესრიგი გარდუვალ აუცილებელია და მსოფლიოს მორალური პოლიტიკის მიღწევით სრულიად შესაძლებელი!

მაქვს გამოცხადებითი მინიშნება საქართველოს ეკლესიის ჩართვის აუცილებელი ჟამისა მსოფლიოს ე.წ. „ახალი წესრიგის“ პროცესებში, რომლითაც მიმდინარეობს ფუნდამენტური რღვევა თქვენეული ტრიადული მოწოდებისა: **ღმერთი! სამშობლო! ადამიანი!**

თქვენო უწმიდესობავ! ქრისტიანობის დამცველი „მესიის მახვილის“ - ქართველი ერის სამშვიდობო მისია თქვენს ლოცვა-კურთხევას ელის!

**უღრმესი მოკრძალებითა და თქვენი მზეგრძელობისთვის ლოცვით**

**დენიზა სუმბაძე**
**10 თებერვალი, 2023 წელი**

**(ავტორის სტილი დაცულია)**

# გვახსოვს, გვახსოვს და ვერასდროს დავივიწყებთ იმ დაწყევლილ ცხრა წელს

**„დასავლეთი ათწლეულების განმავლობაში სასოწარკვეთილი ცდილობდა, არ შეემჩნია სააკაშვილის რეჟიმის გადამეტებები და დანაშაულები. ბევრმა დასავლელმა ლიდერმა, იმის ნაცვლად, რომ დაესვა კითხვა, როგორ დაუშვეს შეცდომა „ნაციონალურ მოძრაობასთან“, როდესაც ის ხელისუფლებაში იყო, გადაწყვიტა, რომ უფრო ადვილია, იფიქრონ, თითქოს მიშა დიდი დემოკრატი იყო“, - ეს სტატუსი ევროპარლამენტის მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით „ტვიტერზე“ ამერიკელმა ანალიტიკოსმა და პოლიტოლოგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ლინკოლნ მიტჩელმა გამოაქვეყნა.**

**მიმდინარე წლის 16 თებერვალს ცნობილი გახდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ოჩიგავა საქართველოს წინააღმდეგ“, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ 2012 წლამდე საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა წამება და არასათანადო მოპყრობა „იყო სისტემატური ხასიათის და მთელი სისტემისთვის დამახასიათებელი“.**




სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებიდან კიდევ ერთხელ დგინდება, რომ საქართველოს ციხეებში პატიმრების წამება ხდებოდა სისტემატურად, შემდეგი ფორმებით: ახლად მოთავსებულ პატიმართა აუცილებლად ცემის პრაქტიკა – ე.წ. საკარანტინო პროცედურა; პატიმრების სისტემატური ცემა კვირაში რამდენჯერმე; ე.წ. კარცერსა და მცირე ზომის სამარტოო საკნებში დასჯის მიზნით ხანგრძლივი ვადით მოთავსება, სადაც მეტალის საწოლის გარდა არაფერი იყო და დღის განმავლობაში პატიმრებს ცემენტის იატაკზე ჯდომა უწევდათ; პატიმრებისთვის სპეციალური სახის ჩაფხუტის ჩამოფარება და პირში ბურთის ჩაჩრა, რათა მათ არ ესაუბრათ; ყოფილა შემთხვევა, როდესაც მომჩივანს ცემის გამო დაუკარგავს გონება, გონზე კი ციხის მორგში გარდაცვლილებს შორის ხელბორკილებით მილზე მიჯაჭვული მოსულა. იმას კი, ვინც ნაცმკვლელებს, მწამებლებს, გამომძალველებს, ქვეყნის და ხალხის დამაქცევრებს სათავეში ედგა და დასჯის ნაცვლად, „დიდ პრემიებს“ აძლევდა, „ჰაი კლასის“ საავადმყოფოშიც არ სურს სასჯელის მოხდა და კაცისთვის შეუფერებელი ხრიკებით ცდილობს თავისუფლების მოპოვებას. დიახ, მიხეილს სისხლი, გვამი, ადამიანების ტანჯვა და წამება მოენატრა. ქვეყნისა და ხალხის ნაძარცვი ფულით ცდილობს, ქვეყანას რაც შეიძლება მეტი ტალახი ესროლოს და დააკნინოს. თუმცა, მის დამცველ, კორუფციაში მხილებულ ევროპარლამენტარებს ისეთი ტემპით აკავებენ, მალე მისი ნაცნობიც აღარ დარჩება და ივანიშვილის პერსონალური სანქცირების სურვილი აუსრულებელ ოცნებად ჩაეფერფლებათ!

დიახ, ევროპარლამენტი აღარ არის ის ინსტიტუცია, საიდანაც შეიძლება, რომ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და სამართლიანობის განცხადებები მოისმინოს საზოგადოებამ. მძიმე გასახსენებელია წარსული, რომელიც მიხეილს და მის ხროვას უკავშირდება, თუმცა „ნაცების“უცხოელ მეგობრებს და „კეთილი გულის“ საზოგადოების იმ ნაწილს, ვისაც მონსტრი ეცოდება, ამნეზია აქვთ და ხშირად გვიწევს არცთუ სასიამოვნო მოგონებების გახსენება... **გვახსოვს, გვახსოვს და ვერასდროს დავივიწყებთ იმ დაწყევლილ ცხრა წელს.**

სამწუხაროა, რომ სისხლის მსმელებით, ქვეყნის დამაქცევრებით, მკვლელებით, ნარკომანებით, ყველა უბედურების მომტანი გარეწრებით დაკომპლექტებული პარტია ბედავს, რუსთაველზე სატანურ რიტუალს - „შაბაშს“ გვიწყობს და თან ყველა ჯერზე „გადატრიალებას“ გვიანონსებს. ეს ის სისხლსმოწყურებული ნაცპარტიააა, 2012 წლის არჩევნებზე ათასობით დამკვირვებელს მათთვისთვის ოფიციალურად გაცემულ ბეიჯს რომ არ აძლევდა, ოპოზიციის წარმომადგენლებს უბნებზე დაკვირვების საშუალებას და გადაღებას უკრძალავდა, დამკვირვებელ ქალბატონს ბეისბოლის ჯოხით ფეხებს რომ უმტვრევდა, როცა ათობით მანქურთი ცხრა შვილის მამას – დამკვირვებელ მღვდელს ურტყამდა, მათ მიერ ნაქები ნაცსპეცნაზი ყუთებს იპარავდა და რეზინის ტყვიებს ესროდა მოსახლეობას, მამაოს მშვიდობიანი პროტესტისთვის იარაღს ადებდნენ და არჩევნების წინა პერიოდში მოწინააღმდეგეებს ყველა არაკონინიერი მეთოდით უსწორდებოდნენ.

2008 და 2012 წლების არჩევნებზე დარღვევის და უთანაბრობის ათასობით ფაქტი გახლდათ დაფიქსირებული.

გვახსოვს, როგორ წაართვეს მთავარ კონკურენტს მოქალაქეობა და აღარ დაუბრუნეს, თან მილიონობით ლარი უკანონოდ წაგლიჯეს და თავისი ბინძური კამპანია აფინანსეს, ათასობით ადამიანს უკანონოდ და პოლიტიკური საფუძვლით ყადაღა დაადეს.

გვახსოვს, როგორ ძალადობდნენ ქალებსა და ბავშვებზე, როგორ იგონებდნენ აბსურდულ ბრალდებებს, როცა ხან რუსის დამქაშები ვიყავით თურმე და ხან – კანონიერი ქურდების ნატრულნი; არჩევნებზე არცერთი ბანერი არ გვაღირსეს, მხოლოდ სამოცი დღით დაუშვეს თავისუფალი მედია, რომ ისევ გებელსის პროპაგანდაში და გაფერადებულ ჯოჯოხეთში შევებრუნებინეთ.

რა დაგვავიწყებს, რამდენი ადამიანი დაიჭირეს და დააშინეს სატელიტური თეფშების დამონტაჟების გამო, ჟურნალისტების ზონდერბრიგადებიც შექმნეს, ყველაფერი იკადრეს, რაც საქართველოში არასდროს არავის უკადრია. სწორედ ამ უტიფრების ბანდა ყმუის „ჩაგვრასა“და „უკანონობაზე“. თუმცა, ერთ კონკრეტულ ფაქტსაც ვერ ასახელებენ...

მწარედ გვახსოვს 2012 წელს „ქართული ოცნების“ მომხრეების ნაცხელისუფლების მიერ რეპრესიული ნაბიჯების მთელი სერია, მათ შორის, კომპიუტერული კიბერშეტევა, რაც არა მარტო „ქართული ოცნების“ ადგილობრივს აქტივისტებს, არამედ ამერიკელ იურისტებს, ლობისტებს და უსაფრთხოების მრჩეველებსაც შეეხო, რომლებიც „ქართული ოცნებისათვის“ მუშაობდნენ. კიბერშეტევის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური პირები 2012 წ. 7 სექტემბერს საქმის კურსში ჩააყენა თედო ჯაფარიძემ, საქართველოს ყოფილმა ელჩმა ვაშინგტონში და ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელი გუნდის სხვა წევრებმა. ჯაფარიძემ ბრალი დასდო საქართველოს ხელისუფლებას, რომელმაც „საარჩევნო კამპანია გადააქცია ომად ‘სახელმწიფოსა’და ‘სახელმწიფოს მტრებს’ შორის“. სპეციალისტებმა და გამომძიებლებმა იპოვეს სამოცდაექვსი ტიპის ვირუსი და სპამი ივანიშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და მრჩეველთა მიერ გამოყენებულ ხუთ კომპიუტერში. აქედან კი ვირუსები გადავიდა დაახლოებით ორმოცდაათ სხვა კომპიუტერზე.

ვირუსული პროგრამები საკმაოდ ჭკვიანურად იყო მოფიქრებული: მათ შეეძლოთ ჩაერთოთ კომპიუტერის კამერა და მიკროფონები და მოეხდინათ ეკრანიდან „სკრინშოტების“ ჩაწერა ყოველ ათ წამში, რაც საშუალებას იძლეოდა, ჩაწერილიყო მნიშვნელოვანი გასაღებები და კოდური სიტყვები“, - განუცხადეს სახელმწიფო დეპარტამენტს.

მაგალითად, ერთი ასეთი „ეკრანის ჩაჭერა“ აფიქსირებდა ივანიშვილის საბანკო ინვოისს „ნეიშენალ სტრატეგიზ“ კომპანიისადმი, რომელიც ვაშინგტონში არსებული უსაფრთხოების მრჩეველთა ფირმაა.

მეორე იყო ივანიშვილისთვის გაგზავნილი ვაშინგტონშივე არსებული კომპანია „პატტონ ბოგზის“ ადვოკატის მესიჯი. ეს ფირმა ივანიშვილის ლობისტური საქმიანობის წარმართველი კომპანია გახლდათ. კიბერშეტევა აშკარად გასცდა თავიდან დაინფიცირებულ ინდივიდუალურ კომპიუტერებს. ჯაფარიძის გუნდმა განაცხადა, რომ გამომძიებლებმა აღმოაჩინეს მოწყობილობები, რომლებსაც შეუძლიათ მონაცემების დაფიქსირება და გადაცემა, ასევე ვირუსების გავრცელება და ეს მოწყობილობები რამდენიმე ქართულ ინტერნეტპროვაიდერის აპარატურაში იყო დაინსტალირებული.

როგორც ქართულმა ოპოზიციურმა მოძრაობამ განაცხადა, ასეთი მაღალი დონის მოწყობილობისა და ასეთ წერტილებში მათი გამოყენება იმის მტკიცებულებაა, რომ სწორედ „სახელმწიფო უშიშროების და დაზვერვის სამსახურები ახორციელებდნენ პოლიტიკური ოპოზიციის თვალთვალის ოპერაციას“, - ნათქვამია შეხვედრის ამსახველ დოკუმენტში.

2012 წლის აგვისტოში ევროპის საბჭომ გააკეთა განცხადება, რომლითაც მთავრობის მიერ საარჩევნო პროცესისთვის შეგროვილი შემოწირულობების ჩამორთმევის კამპანია გააკრიტიკა, როგორც “იარაღი, რათა გაანადგუროს დემოკრატიული ოპოზიცია, და რომლის ძირითადი სამიზნე „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები არიან.“

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ **ჰალსტუხლოღნია მიხეილის** დემოკრატიით არც მანამდე იყო აღფრთოვანებული საერთაშორისო საზოგადოება. „საერთაშორის დამკვირვებლების აზრით, 2008 წლის იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები, უმრავლეს შემთხვევაში, შეესაბამებოდა ეუთოს დემოკრატიული არჩევნების სულისკვეთებას. თუმცა, იყო მნიშვნელოვანი პრობლემებიც, მათ შორის, დაშინების და ამომრჩევლებზე ზეწოლის ფართოდ გავრცელებული მცდელობები, ხმათა არასწორი დათვლა და დაჯამება და ხარვეზები საჩივრებისა და განაცხადების განხილვის პროცესში. ეს და სხვა პრობლემები ასევე ლაქად დააჩნდა 2008 წლის მაისის არჩევნებსაც, რომელიც ეუთოს დამკვირვებლებმა არათანაბარ და საერთაშორისო სტანდარტებთან არასრული შესაბამისობის არჩევნებად ჩათვალეს.“

სწორედ ეუთოს საბოლოო ანგარიშში წერია, რომ ამ არჩევნებში მონაწილეთა მხოლოდ 3%-მა გადაწყვეტა, რომ მეორე ტური საჭირო არ იყო, დამკვირვებელთა მიერ საარჩევნო უბნების 19%-ზე (!) ხმების დათვლა ჩაითვალა ცუდად ან ძალიან ცუდად! გაყალბებაზე, უკანონობაზე, ხელისუფლების „შეცდომებზე“, „მოუბარ“უტიფარ, სისხლმოწყურებულ, ნაცლიდერებს ან ამნეზია აქვთ, ან მართლა დაშტერებულები არიან და არ ახსოვთ, რამდენი სიბინძურე აქვთ ჩადენილი ხალხისა და ქვეყნის წინაშე.

სააკაშვილის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა ოპოზიისთვის მხარდამჭერი სპორტსმენი, ძიუდოს ჩემპიონი ამბაკო ავალიანი მოატაცებინა თავის ზონდერბრიგადას და ორი საათის განმავლობაში უკანონოდ დაპატიმრებული ჰყავდათ! ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა, ცინიკური ზეწოლა და დაშინება – აი, რა იარაღს იყენებდა სააკაშვილის სანაქებო მაფიოზი მინისტრი, რომელმაც ასე განუცხადა მოტაცებულ სპორტსმენს: ყველას, ვინც ივანიშვილის მხარეზე გადავიდა, დავიჭერთ და ელექტროშოკით ვაწამებთო! ოღონდ ჯერ არჩევნები მოვიგოთ და ამერიკელები რომ აღარ დაგვაკვირდებიან, მერე განახებთ სეირსო!

კონტროლის პალატის და სასამართლოს მიერ კოსმოსური სისწრაფით მიტანილი იქნა იერიში გლობალ ტვ-ის სამაუწყებლო კომპანიაზე, რომელიც დაავალდებულეს, შეეწყვიტა სატელიტური ანტენების განთავსება და მოეხდინა დამონტაჟებული 11,000 ანტენის დემონტაჟი!, რითაც საქართველოს მოსახლეობის 75% ისევ დაბრმავებული და დაყრუებული დატოვეს სამთავრობო პროპაგანდის ამარა. ამით ნაცხელისუფლებამ ღიად და ნათლად განუცხადა საქართველოს მოსახლეობას: **„თქვენ არ გაქვთ უფლება, უყუროთ და უსმინოთ იმას, რასაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ! თქვენ უნდა უყუროთ და უსმინოთ მხოლოდ ჩვენს პროპაგანდას და სიცრუეს! ჩვენ არ დავუშვებთ, რომ თქვენ ინფორმირებულ ელექტორატად იქცეთ, რადგან მერე ჩვენ გაგვიჭირდება თქვენით მანიპულაცია!“.**

13 გვ. →

# როცა თურქების გშურს და გინდა, ერთი „ათაქართველი“ გამოჩნდეს...



**„იყო აშშ-ის მტერი, საშიშია, მაგრამ მასთან მეგობრობა საბედისწეროა“**

ჰენრი ალფრედ კისინჯერი

მოგეხსენებათ, ტელევიზიები სერიალებით ივსებენ აუთვისებელ სატელევიზიო დროს. შესაბამისად, ჩემი ხანშიშესული დედაც დილიდან დაღამებამდე უზის ტელევიზორს და ყველა თურქულ სერიალს უყურებს, მე კი, თუ სახლში ვარ, მინდა თუ არ მინდა, ყურში რადიოდ ჩამესმის ყველა სერიალის ყველა დიალოგი.

სერიალების დანიშნულებაზე ან მათ მხატვრულ ღირებულებაზე არ ვაპირებ საუბარს...

ამასწინათ ყური მოვკარი, რომ ერთ-ერთ სერიალში აშშ-ის წინააღმდეგ იატაკქვეშა ორგანიზაცია იყო შექმნილი და პერსონაჟი აღშფოთებული ამბობდა, ვინ ეკითხება აშშ-ს, თურქეთში რა და როგორ უნდა იყოს, რა უფლებით გვახვევს თავზე საკუთარი მიზნების გამო ჩვენთვის მიუღებელ მითითებებს, რატომ უნდა შევასრულოთო. თურქი პატრიოტების მხარდამჭერებად სირიელები ჩანდნენ, წინააღმდეგობაში




ახალგაზრდა პატრიოტი ქალებიც იყვნენ ჩართული.

გამოხდა მცირე ხანი და მესმის, რომ თურქული სერიალის პერსონაჟები ახლა ფრანგებს უპირისპირდებიან — ფრანგული უღელი მოშორდება თურქეთის კისერსო.

ორივე შემთხვევაში მოქმედება თურქეთის ტერიტორიაზე ხდებოდა და ორივე სერიალში ორი სხვადასხვა ქვეყნის წინააღმდეგ შეთქმულებებს აწყობდნენ თურქები. ვერ მოვითმინე და ჩავეძიე დედაჩემს, რა დროა, რა ხდება-მეთქი? არ ვიცი, ვერ გავიგე, მაგრამ მობილურები არ უკავიათ და არც ძალიან ძველი დროაო.

როგორც გავარკვიე, ორივე სერიალი დრამაა, ერთი „იმედზე“ გადიოდა (ახლახან დასრულდა) — „აზიზი“ ჰქვია და ფრანგებს მტრობენ, ხოლო მეორეს — „დაკარგული დრო“, „რუსთავი-2“-ზე ჯერ კიდევ უჩვენებენ რომელშიც აშშ-ს მტრობენ.. არ დავიზარე, ორივე სერიალის ერთ-ორ სერიას ვუყურე.

როგორც სიტუაციიდან ჩანდა და გადავთვალე, 1919-1923 წლების თურქეთის ამბებია გადმოცემული, „სევრის ხელშეკრულების“ (ოსმალეთის იმპერიასა და ანტანტას შორის) შემდგომი პერიოდი, როდესაც თურქეთში თურქები, ფაქტობრივად, უუფლებოდ იყვნენ, რის გამოც გამუდმებული პატრიოტული ხასიათის გამოსვლები და აჯანყებები ერთმანეთს ცვლიდა.

ვერაფრით გავხდები საქართველოში „დიდი თურქობის“ შემოქმედი თურქეთის გულშემატკივარი, მაგრამ პირუთვნელობას ვერ გავექცევი — რა შავ დღეში ყოფილან ერთ დროს სულთან სულეიმანის „დიდებული საუკუნის“ შთამომავალი თურქებიც...

რატომ მშურს თურქების?

მცირე ვაჭრის, ყოფილი მებაჟის ვაჟი მუსტაფა ჯერ „ქემალი“ გახდა, შემდეგ კი თურქეთის განმათავისუფლებელი, ხალხმა „ათათურქი“ რომ შეარქვა. „ქემალ“ მათემატიკის მასწავლებელმა დაარქვა, რაც თურქულად „სრულყოფილს“ ნიშნავს, „ათათურქი“ კი — „თურქთა მამას“.

„სუსტები ყოველთვის უთმობენ გზას ძლიერებს... და მხოლოდ უძლიერესი უნდა დაემორჩილოს ყველას!“ — უყვარდა ამ სიტყვების თქმა მუსტაფა ქემალ ათათურქს.

არ უნდა ვოცნებობდე „ქართველთა მამის“ გამოჩენაზე და არ უნდა მშურდეს ამ მხრივ თურქების?!

ის აღმოჩნდა კაცი, რომელმაც უწიგნური რელიგიური ფანატიკოსებისგან შექმნა ის თურქი ერი, რომელსაც დღეს ვიცნობთ!

შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თურქეთის მებრძოლი ძალა, თითქმის ყველა მეომარი, აბსოლუტურად გაუნათლებელი, წერა-კითხვის უცოდინარი რელიგიური ფანატიკოსები იყვნენ. პირდაპირ სამხედრო მოქმედებების დროს, რელიგიურ რიტუალებს იწყებდნენ, რაც მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს საომარი ძალის მობილურობას, გადაადგილებას და ა.შ. მიუხედავად ამისა, ათათურქი მაინც ახერხებდა ეფექტურ მოქმედებას და ქვეყნის სათავეში მოსვლისთანავე დაიწყო ისლამის შარიათის გავლენის აღმოფხვრა პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მალევე გააუქმა კიდეც შარიათის სასამართლოები. ამოქმედდა ახალი სამოქალაქო კოდექსი, რომლის მიხედვითაც, მკვეთრად გაიმიჯნა საერო და სასულიერო ცხოვრება. ისლამს განათლების სფეროში ყოველგვარი პრივილეგია ჩამოერთვა, მხოლოდ სასულიერო ცენტრები დარჩა რელიგიის ზედამხედველობის ქვეშ, თუმცა, თავად რელიგიაც სახელმწიფო აპარატის შემადგენლობაში შევიდა და სპეციალურად შექმნილ რელიგიის დეპარტამენტს დაუქვემდებარეს. ყურანი არაბულიდან თურქულად ითარგმნა და იმ დროიდან თურქეთის ყველა მეჩეთი ვალდებული გახდა, ლოცვა მხოლოდ თურქულ ენაზე აღევლინა.

მიუხედავად მაშინდელი თურქეთის გაუნათლებლობისა და უწიგნურობისა, ათათურქი ჯიუტად ცდილობდა თურქეთის ასეთი მდგომარეობიდან გამოყვანას და მის ცივილიზებულ ქვეყნად გადაქცევას. მისი ინიციატივით შემოიღეს სპეციალური კანონი ტანსაცმლის შესახებ — სახელმწიფო მოხელეებისთვის სავალდებულო გახდა ევროპული სტილის სამოსის ჩაცმა. საერთოდ აიკრძალა მუსლიმური ქუდის ტარება, „ის ჩვენი გაუნათლებლობის სიმბოლოს წარმოადგენსო“, — ამბობდა ათათურქი.

სამოქალაქო კოდექსმა შეცვალა თურქული ოჯახიც, აიკრძალა მრავალცოლიანობა და კანონმა ქალს განქორწინების უფლებაც მიანიჭა. ქალს მიეცა საარჩევნო ხმის უფლებაც, შეეძლო აერჩია და თვითონაც ყოფილიყო არჩეული საკანონმდებლო ან აღმასრულებელ ორგანოში. ასევე, ქალებს აეკრძალათ ჩადრის ტარება.

რეფორმა შეეხო არაბულ ანბანსაც, ქვეყნის მეთაურმა ის ლათინურით შეცვალა და ახალი ანბანი რამდენიმე კვირაში მოამზადებინა. „ჩვენ უნდა გავთავისუფლდეთ გაუგებარი იეროგლიფებისგან, რომელთაც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ტყვეობაში ჰყავდა ჩვენი გონება“, — განაცხადა მან.

ამ დროს შემოიღეს გვარებიც. ყველა მოქალაქე ვალდებული გახდა, გვარი აერჩია.

ათათურქმა შეძლო შეუძლებელი: დაამარცხა უწიგნურობა, რელიგიური სიბნელე, ააღორძინა ქვეყნის ეკონომიკა — ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ინდუსტრიულ სახელმწიფოდ აქცია და ჩამოაყალიბა თურქი ერი, რომელიც მანამდე საერთოდ არ არსებობდა — ოსმალეთი უამრავი სხვადასხვა ერის კრებულს წარმოადგენდა.

ათათურქის ცნობილი საგულისხმო გამონათქვამებია:

„რომ არა ლაზი სამხედროები, დღეს თურქეთის რესპუბლიკა არ იარსებებდა“;



„ის მმართველები, რომელთაც სამართავად რელიგია სჭირდებათ, სუსტები არიან, მართვა კი სუსტების საქმე არ არის“;

„დახმარებისთვის მიცვალებულის მოშველიება ცივილიზებული სამყაროსთვის სამარცხვინოა“;

„კაცობრიობა ერთი მთლიანი სხეულია. ჩვენ არასოდეს უნდა ვთქვათ, მე რაში მაინტერესებს, სხვაგან რა ხდებაო, არამედ ისე უნდა მივიღოთ სხვა ერების ტკივილი, როგორც ჩვენი ერთიანი სხეულის დაავადება, რომელიც უნდა განიკურნოს.“

გახდა ოსმალეთი თურქეთი, ანგარიშგასაწევი სახელმწიფო და უწიგნური მასიდან განათლებულ თურქებად იქცნენ. სულ ახლახან თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ეფენდი სულეიმან სოილუმ აშშ-ს პირში მიახალა საქვეყნოდ ის, რასაც ფიქრობენ და სასტიკად მიუღებლად მიაჩნიათ. მან, ფაქტობრივად, ბრალი დასდო აშშ-ს თურქეთის სახელმწიფოსთვის ზიანის მიყენების მცდელობაში და აშშ-ის ელჩს თურქეთში, ჯეფრი ფლეიკს მიმართა, რომ „შორს ჰქონდეს ხელები თურქეთისგან.“

მანამდე, საფრანგეთმა, გერმანიამ, იტალიამ და აშშ-მ გააფრთხილეს საკუთარი მოქალაქეები, რომ თურქეთში გაზრდილია დიპლომატიურ მისიებზე თავდასხმის რისკი... ამის გამო რამდენიმე დასავლურმა ქვეყანამ თურქეთში განლაგებული დიპლომატიური მისიების დროებითი დახურვის გადაწყვეტილება მიიღო. აღნიშნული გაფრთხილება მას შემდეგ გავრცელდა, რაც თურქეთში უკმაყოფილება გამოიწვია და საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა ევროპაში (შვედეთში) გამართული აქციების დროს ყურანის დაწვას.

ეფენდი სულეიმან სოილუ, თურქეთის შსს მინისტრი: „აშშ-ის ყველა ელჩი, როგორცკი ჩამოდის თურქეთში, ცდილობს, გაერკვეს, როგორ შეიძლება თურქეთში გადატრიალების მოწყობა. (ხელწერა მეცნობასავით) ეს თურქეთისთვის ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაა. ისინი აწყობენ შეხვედრებს და ცდილობენ, სხვა ქვეყნის ელჩებს რჩევები მისცენ. ამავეს აკეთებენ ევროპის ქვეყნებში — ევროპას აშშ-ის ელჩები მართავენ. მივმართავ ჯეფრი ფლეიკს: „ვიცი, რომელ ჟურნალისტებთან გაქვთ ურთიერთობა. შორს თქვენი ბინძური ხელები თურქეთისგან! ყველაფერი ნათელია. მე კარგად ვიცი, რას აკეთებთ და რა ნაბიჯებს დგამთ!“

ჰასან ანაგული, თურქი ჟურნალისტი, ანალიტიკოსი: „... ეს წლების წინ მზადდებოდა. ჩვენს პარტნიორებს მიზნად ჰქონდათ თურქეთ-რუსეთის დიდი ომის პროვოცირება. რუსული მოიერიშის ჩამომგდები თურქი პილოტი 2016 წელს ე.წ. ამბოხის დროს, პრეზიდენტ ერდოღანის სასახლეს ბომბავდა.

მრავალი აფათურებს ხელს ჩვენს შიდა საქმეებში და მათ ეს ხელები მოსტყდებათ. თურქეთი თავად ირჩევს საკუთარ დღის წესრიგს — ვისთან უნდა იმეგობროს და ვისთან მტრულ დამოკიდებულებაში იყოს. ეს ჩვენი სამშობლოა და ჩვენ გვეკუთვნის. უცხო ქვეყნის აგენტ ელჩებს ეშლებათ, თურქეთი არავის სათამაშო არ ყოფილა და არც იქნება!“

არ მშურდეს თურქეთის?!

თურქეთის შსს მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი და აღნიშნეს, რომ „სიცრუეს წარმოადგენს ნებისმიერი ვარაუდი, თითქოს აშშ-ის მთავრობას კავშირი აქვს თურქეთის დესტაბილიზაციის ძალისხმევასთან, ან მხარს უჭერს მას.“ უწყებაში განაცხადეს, რომ თურქეთი ნატო-ს ღირებული მოკავშირეა და აშშ-ის პარტნიორი უსაფრთხოების სფეროში, ამასთან, ხაზი გაუსვეს, რომ საზღვარგარეთ მყოფი აშშ-ის მოქალაქეების უსაფრთხოება ვაშინგტონისთვის პრიორიტეტულია.

იტყვი რამეს და შეთქმულების თეორიად მოგინათლავენ ნათქვამს, არადა, ეჭვი ოხერია...

აშშ-მ და ევროპულმა ქვეყნებმა მოსალოდნელი თავდასხმების მოტივით გააფრთხილეს საკუთარი მოქალაქეები და დახურეს დიპლომატიური მისიები. ამის კვალდაკვალ გამოდის თურქეთის შსს მინისტრი: „შორს, თურქეთისგან თქვენი ბინძური ხელები“, ვიცი რასაც ამზადებთო და ორ დღეში დამანგრეველი მიწისძვრების სერია დაატყდა თურქეთს თავს.

როგორც ჩანს, მთლად კარგად ვერ გაუგია სოილუს, რა ელოდა თურქეთს...

რა ვიცი, აბა... უბრალოდ, ეჭვიანი ვარ...

ერთი „ათაქართველი“ ხომ მინდა და კიდევ ერთი სოილუც, თურქეთის რომ აღარ მშურდეს ...

**მაკა ჯაყელი**

7 გვ.

როგორ უნდა აიძულო?! ეს სიმულაცია მიშას და მისი გარემოცვის დაგეგმილია. მას ჰგონია, რომ ამის წყალობით ციხიდან თავს დაიძვრენს და ამ პროვოკაციაში მისი ლობისტი ევროპარლამენტარებიც ჩაითრია. დღეს ვითომ ხომ კვდება, ხვალ რომ გამოუშვან, ცხენივით დაიწყებს სირბილს. ეს შემდეგი გეგმის ნაწილია — საქართველო რუსეთისთვის ცხელ წერტილად უნდა იქცეს, რაც ჩვენთვის დამღუპველი იქნება. სააკაშვილის „უპრაგონოდ“ გათავისუფლებას ხალხი ხელისუფლებას არ აპატიებს. მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ: ეს ასე მარტივად არ ჩაივლის. აქ ნაცების რეჟიმისგან გამწარებული ასიათასობით ადამიანი გამოვა და მათ სათანადოდ დასჯის. ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამ მოხდეს, თორემ ხალხის აზვირთებულ ტალღას ვეღარაფერი შეაჩერებს. ხელისუფლებამ სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს.

# აქციის მიზანი უკრაინის მხარდაჭერა კი არა, ქართული სახელმწიფოს დისკრედიტაცია იყო






**— წეღან ახსენეთ, ევროპარლამენტმა მიშას გასათავისუფლებლად რეზოლუცია მიიღოო. ქართულ მართლმსაჯულებას პატივს რატომ არ სცემენ?**

— ქართული მართლმსაჯულება უკანონო გადაწყვეტილებას არ მიიღებს და მიშას არ გაათავისუფლებს. რამდენიც უნდათ, იმდენი რეზოლუცია მიიღონ. ამერიკა უკვე დიდი ხანია, სხვა ქვეყნებს შორის არსებული დაპირისპირებებითა და ქაოსით იკვებება. მას ამ დიდ, გლობალურ, ხისტ პოლიტიკაში ევროპა და ევროკავშირიც ჩათრეული ჰყავს. **დასავლეთის ჩვენდამი დამოკიდებულება დემოკრატიას სცდება. თუ დემოკრატიის მშენებლობაში გვეხმარებიან, მაშინ როგორ და გვეუბნებიან, რომ სააკაშვილი გავათავისუფლოთ?! დამნაშავის გათავისუფლება რომელ ქვეყანაში, ან რომელი კანონმდებლობით ითვლება დემოკრატიად?!** არადა, გვიკიჟინებენ: დემოკრატიის უკუსვლა გაქვთ, პრეზიდენტს არ ათავისუფლებთო. მისი გათავისუფლების საფუძველი ხომ უნდა არსებობდეს? ჩვენს არცერთ კანონმდებლობაში არ არსებობს მუხლი, რომელიც დამნაშავის ციხიდან გათავისუფლებას ითვალისწინებს. ანდა, სასჯელის გადავადება რას ნიშნავს?! კურორტზე ხომ არ არის, რომ წყალტუბოში ყოფნა არ მოეწონოს და საირმეში გადავიყვანოთ?! დამნაშავის გათავისუფლება მხოლოდ იმ შემთხვევებშია შესაძლებელი, თუ ლეტალური შედეგის საფრთხე არსებობს, ან რომელიმე ორგანოს გადანერგვა სჭირდება, რაც საქართველოში ვერ ხერხდება, ან პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს.

**— პარადოქსია, რომ ევროპა მიშას გათავისუფლებას გვთხოვს და, პარალელურად, ივანიშვილისთვის სანქციების დასაწესებლად ემზადება...**

— ამ ძალებს ქვეყანაში ქაოსი აწყობთ. თქვენ რა გგონიათ, უკრაინა რისთვის ემზადება?! ევროკავშირიც და მისი წევრი ქვეყნებიც ამერიკის გამიზნულ გეგმას უწყობენ ხელს. საბოლოოდ, დასავლეთ უკრაინა ამერიკის მარიონეტი იქნება, ხოლო დონბასი, ლუგანსკი და ა.შ. რუსეთს დაექვემდებარება. ანუ, ამერიკა და რუსეთი უკრაინას გაიყოფენ. ჩვენ რაც შეგვეხება, ამერიკას და ევროპას არ მოსწონთ ქართული ხელისუფლება, რადგან ვერ დაიმორჩილეს. ამიტომ, შეიძლება, სტატუსიც არ მოგვცენ, ოღონდ არა იმიტომ, რომ მიშას არ ვათავისუფლებთ. ეს საბაბია. სიმართლე გითხრათ, პოლონეთი ევროკავშირის წევრია, მაგრამ მასზე ბევრი ინფორმაცია მაქვს. ის ვერანაირ ევროსტანდარტებს ვერ აკმაყოფილებს, იქ კორუფცია ჰყავის, სასაზღვრო სამსახურში აღებ-მიცემობაა. საქართველოში კანონი უფრო მუშაობს და მეტი დემოკრატიულობაცაა, ვიდრე ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაში. მათ საქართველოში მორჩილი ხელისუფლება უნდათ. ევროპამ 2008 წელს მიღებულ შედეგებს შეგვაგუა — რაც რუსეთმა წაიღო, ვეღარ დაგიბრუნებთო. სამაგიეროდ, თავზე ხელი გადაგვისვეს, 4 მილიარდი გადმოგვირიცხეს, დევნილებს სახლები ავუშენეთ და მორჩა. ჩვენ ევროკავშირი, ნატო იმიტომ გვინდა, რომ ტერიტორიები დავიბრუნოთ. მათ ეს მოთხოვნა არ აწყობთ. ისინი ქართული ინტერესების გამტარებელი ხელისუფლების ამოყირავებას ცდილობენ. თუმცა, მათ არაფერი გამოუვათ, რადგან ყველაფერი მის უდიდებულესობა ქართველ ხალხზეა დამოკიდებული და იგი ყველას საკადრის პასუხს გასცემს...

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# გვახსოვს, გვახსოვს და ვერასდროს დავივიწყებთ იმ დაწყევლილ ცხრა წელს

11 გვ.

თბილისის მერთან, გიგი უგულავასთან დაახლოებულმა სატრანსპორტო კომპანიის ხელმძღვანელობამ აუკრძალა თბილისის მიკროავტობუსების მძღოლებს რადიოს მოსმენა, რადგან ისინი, უპირატესად, სწორედ ოპოზიციურ (უფრო ზუსტად – მთავრობის მიერ არაკონტროლირებულ) რადიოარხებს უსმენდნენ. რამდენიმე მძღოლი, რომელმაც ეს აკრძალვა დაარღვია, სამუშაოდან გაათავისუფლეს. ათეულობით მილიონის მიმთვისებელი უგულავა დღესაც „გულაობს“, უკმაყოფილოა და უტიფრად ცდილობს ხელისუფლების სადავეებთან მოხვედრას. დიახ, ნაცელიტას ენატრება 30,000-მდე პატიმარი... ასეულათასობით პრობაციონერი, რომელთაც შეთითხნილი და აბსურდული ბრალდებების გამო აიძულებდნენ, საპროცესო გარიგებაზე ხელი მოეწერათ და ბიუჯეტის სასარგებლოდ ფული გადაეხადათ, ნაცმართლმსაჯულება „მომგებიანი ბიზნესის“ რელსებზე ჰყავდათ გადაყვანილი... ბიზნესის 90%-ის სამთავრობო წრეების მიერ კონტროლდებოდა, მოენატრათ, არაკონოტროლირებადი და ფარული ელიტური კორუფცია... გაუმჭვირვალე სამთავრობო ხარჯები, რომლებიც სახელისუფლებო ნუვორიშული ფანტაზიებისა და ფუტურისტული მეგაპროექტების განსახორციელებლად იხარჯებოდა, იმ ქვეყანაში, სადაც 1,5 მილიონზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობდა და ორ მილიონზე მეტს საერთოდ დაზღვევა არ გააჩნდა...

ქვეყნისა და ხალხის ძარცვით გამდიდრებულ ნაცლიდერებს და მათ დასავლელ მფარველებს დაავიწყდათ, რა ვანდალურ-გარეწრული მეთოდებით ატარებდნენ არჩევნებს. ბიძინა ივანიშვილს ყველა ბრუნვაში რომ ახსენებენ, 2012 წლის 12 ივნისს საქართველოს უსამართლო სასამართლომ სააკაშვილის კონკურენტი ივანიშვილი, აბსურდული და ფალსიფიცირებული ბრალდების საფუძველზე დააჯარიმა ასტრონომიული თანხით – ასორმოცდარვა მილიონი ლარით (ოთხმოცდათერთმეთი მილიონი დოლარით!)! ეს გადაწყვეტილება მარიონეტმა მოსამართლემ სულ რაღაც თხუთმეტ წუთში მიიღო ისე, რომ დაცვის მხარეს არც კი მოუსმინა! მანამდე კი ივანიშვილის მხარეს მხოლოდ ორი დღე მიეცა ექვსასგვერდიანი საბრალდებო დასკვნის გასაცნობად, რომელიც, ივანიშვილის ადვოკატების განცხადებით, ფაქტების ნაცვლად სიგიჟე, ფანტაზია და ფსიქოპათია იყო. ივანიშვილს მხოლოდ შვიდი დღე მისცეს ამ თანხის გადასახდელად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქართული „მართლმსაჯულება“ მას საქართველოში და საზღვარგარეთ ქონების დაყადაღებით დაემუქრა. ეს ყველაფერი კი ხდებოდა სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული მედიის აღფრთოვანებისა და ტაშისკვრის ფონზე.

ამ მედიასაშუალებების „ჟურნალისტები“ მონაწილეობდნენ ქუთაისში ოპოზიციური მასობრივი მიტინგის დროს დადგმულ ფალსიფიცირებულ სპექტაკლებში, როცა ცდილობდნენ მოსახლეობა დარჯერებინათ, რომ „ქართული ოცნების“ ოპოზიციური მოძრაობის წევრები მოსახლეობისათვის მაცივრების, სარეცხი მანქანების და სხვა საჩუქრების გადაცემით მოსახლეობის მოსყიდვას ახდენდნენ. თუმცა, შემდეგ დადასტურდა, რომ იმ ოჯახმა, რომელსაც ტელეკომპანია „რუსთავი-2“-მა ქრთამის სახით საჩუქრების მიღება დააბრალა, სინამდვილეში, თავად შეიძინა ელექტროტექნიკა, ხოლო „რუსთავი-2“-ის „მოწმის“ როლში სააკაშვილის პარტიის აქტივისტი გამოიყენეს!

დაანონსებული „უთვალავი“ ნაცმადიდებლის შეკრება ვერასდროს შეძლო აწ უკვე ნაცოპოზიციამ. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონებიდანაც მოერეკებოდნენ გაუგებრობაში მოხვედრილ დაბნეულ „წევრებს“. არადა, მწარედ ემახსოვრებათ, მათი ზეობის პერიოდში გაერთიანებულმა ოპოზიციამ 27 მაისს, თბილისში, თავისუფლების მოედანზე და რუსთაველის გამზირზე 120 000-ზე მეტი ადამიანი რომ შეკრიბა „ქართული ოცნების“ გაერთიანებული ოპოზიციური ბლოკისა და მისი ლიდერის მხარდასაჭერად. 10 ივნისს 30 000-ზე მეტი ადამიანი შეიკრიბა გაერთიანებული ოპოზიციის მხარდასაჭერად საქართველოს სიდიდით მეორე ქალაქ ქუთაისში...

ნაცხროვის, მისი დედალი „ატამანისა“და მათ მიერ ნაკვები „უცხოელი“დამცველების შეურაცხმყოფელი განცხადებებისა და ქმედების გამო, სოციალურ ქსელში არაერთხელ გაისმა მოწოდება, შევკრებილიყავით და საკადრისი პასუხი გაგვეცა ქვეყნისა და ხალხის მოღალატეებისათვის, მაგრამ ისევ ქვეყნისა და ხელისუფლების იმიჯს გავუფრთხილდით. თუმცა, თუ ჩვენს „უცხოელ პარტნიორებს“ დაავიწყდათ, რას ნიშნავს „ქვეყნის იმუნიტეტი“, მრავალათასიანი მიტინგის ტრიბუნიდან შევახსენებთ და არც მათ დაქვემდებარებული ნაცხროვის მრავალფეროვანი კრიმინალური წარსულის შეხსენება გაგვიჭირდება...



**ქეთევან ზარნაძე**

# ბირთვული შეიარაღების სფეროში ქაოსია მოსალოდნელი



ბუნდოვანი რჩება და კიდევ უფრო იქუფრება სამყაროში არსებული პოლიტიკური მდგომარეობა. სამწუხაროდ, არავინ გამოჩნდა, ვინც მსოფლიოს პოლიტიკოსებს რეალობაში დააბრუნებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბირთვული იარაღის ჟღარუნმა, შესაძლოა, პლანეტა განადგურებამდე მიიყვანოს, — აცხადებს სამყაროს ექსპერტ-პოლიტოლოგების უმრავლესობა.

ტრადიციულად, ნებისმიერ საერთაშორისო პლატფორმას იყენებენ პლანეტის (ყოველ შემთხვევაში, ცდილობდნენ მაინც, გამოიყენონ) დიდი, წამყვანი ქვეყნების მეთაურები. რთულ, დაძაბულ პოლიტიკურ ფონზე განვლილ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციას არ ესწრებოდა ერთბაშად სამი დიდი ქვეყნის მეთაური. გასაგებია, რომ რუსეთის დელეგაცია გერმანიაში არ მიიწვიეს, მაგრამ რატომ თქვეს უარი ღონისძიებაში მონაწილეობაზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა და ჩინეთის მმართველმა სი ძინპინმა, დღემდე გაუგებარია. მით უფრო, რომ ბაიდენმა ახლახან გაიარა გეგმიური სამედიცინო შემოწმება, ექიმების დასკვნით, ჯანმრთელია და საკუთარი მოვალეობების შესრულება შეუძლია. მხოლოდ ვარაუდების გამოთქმაღა დარჩა საზოგადოებას — ან მიუნხენის კონფერენციამ დაკარგა ავტორიტეტი, ან სამშვიდობი დიალოგი გახდა უინტერესო და უშინაარსო.

ევრპაში კი ჩავიდა ჯო ბაიდენი, მაგრამ არა გერმანიაში, მიუნხენის კონფერენციაზე, არამედ პოლონეთში... აშშ-ში შეეცადნენ, გაესაიდუმლოებინათ ბაიდენის ევროპული ვიზიტი. ამიტომაც ოფიციალური ბორტი №1-ის თვითმფრინავი ვაშინგტონში დატოვეს, პრეზიდენტმა სხვა ლაინერით იმგზავრა. მიუხედავად იმისა, რომ თეთრ სახლსა და სახელმწიფო დეპარტამენტში ბაიდენის გამგზავრებამდე კატეგორიულად უარყოფდნენ კიევში მის ჩასვლას, პოლონეთში ჩასვლისთანავე ამერიკის პრეზიდენტი მატარებლით გაემგზავრა უკრაინაში. საერთოდ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა აშშ-ის პრეზიდენტი მოულოდნელად ჩადის კონფლიქტის ზონაში.

ხანმოკლე, ორსაათიანი ვიზიტი, რეალურად კი საიდუმლო ოპერაცია განახორციელა ბაიდენმა კიევში. „...ეს ჩემი უკვე მერვე ჩამოსვლაა თქვენს დედაქალაქში", — უთხრა ბაიდენმა მასპინძლებს. მისივე განცხადებით, უკრაინისთვის დასახმარებლად აშშ-მ უკვე 133 მლრდ დოლარი დახარჯა, ახლა დამატებით კიდევ 460 მლნ დოლარს გამოუყოფს შეიარაღების შესაძენად. ბაიდენმა უკრაინის პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის თანხლებით ქუჩაშიც (უფრო ზუსტად, სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე) გაისეირნა. სწორედ ამ დროს ჩაირთო საჰაერო განგაშის სირენა, მაგრამ რეაქცია არავის ჰქონია, თავშესაფრისკენ არც კი გაუხედავთ. უცხოელი, მათ შორის, ამერიკელი ჟურნალისტებიც, გაკვირვებას ვერ მალავდნენ — ხუთი დღეა, საჰაერო განგაში არ გამოუცხადებიათ, ახლა რა მოხდაო. თუმცა იქვე აღნიშნეს — მასპინძლებს სურდათ, ბაიდენის სტუმრობისას მძიმე ფონი შეექმნათ. თვალშისაცემი გახლდათ ბაიდენისა და ზელენსკის ფამილარული ურთიერთობა, კოცნა-ჩახუტება...



ბაიდენი კიევიდან პოლონეთშიც მატარებლით ჩავიდა. კადრებში კარგად გამოჩნდა, რომ ასაკოვან პრეზიდენტს უჭირდა ვაგონიდან ჩასვლა. მასპინძლებს საზეიმო შეხვედრა არ გაუმართავთ, რადგან ბაიდენი სადგურიდან დასასვენებლად წავიდა. პოლონელების გარდა, ბაიდენთან შეხვედრაზე ე. წ. „ბუქარესტის ცხრიანის" (აღმოსავლეთ ევროპის) ქვეყნების ლიდერებიც მიიწვიეს. საუბრის თემა, ძირითადად, უკრაინისთვის შეიარაღებით დახმარება და ნატოს გაძლიერება იყო. პოლონეთის პრეზიდენტის, ანჯეი დუდას განცხადებით: „თანამედროვე იარაღისა და ავიაციის გარეშე, უკრაინელებს რუსეთთან გამარჯვების შანსი არა აქვთ".

ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის მტკიცებით: „...რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს მშვიდობა სულაც არ უნდა. იგი უფრო დიდი ომისთვის ემზადება. როდის დასრულდება ყოველივე, ვერ გეტყვით". მანვე დაიჩივლა, რომ უკრაინელების მიერ ბრძოლებში გამოყენებული ჭურვების, ტყვიაწამლის ხარჯი აჭარბებს წარმოებას, რაც მიწოდების შეფერხებას იწვევს.

პოლონეთში ბაიდენმა საათნახევრიანი სიტყვა წარმოსთქვა. აქედან 20 წუთი რუსეთის მოსახლეობას მიმართავდა: ჩვენ თქვენ არაფერს გერჩით, არც არაფერს დაგიშავებთ, მხოლოდ თქვენი ხელისუფლების შეცვლა გვინდაო და მოუწოდა, ამერიკის მხარე დაიკავონ. პოლიტოლოგების შეფასებით, ბაიდენმა წინასაარჩევნო კამპანია პოლონეთიდან დაიწყო.

თვალშისაცემი იყო, რომ პოლონეთში არ მიუწვევიათ გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პოლონელებს სურთ, რომ მათი ქვეყანა ევროპის ლიდერი გახდეს. ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში, პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა მატეოშ მორავეცკიმ განაცხადა: „...სუსტი ევროპის გადარჩენა მხოლოდ პოლონეთს შეუძლია. ჩვენი ქვეყანა მზად არის, ევროპის ცივილიზაციის ცენტრი გახდეს". ამიტომაც გეგმავენ ევროპაში ყველაზე მრავალრიცხოვანი არმიის შექმნას. ვარშავაში მყოფ ბაიდენს დუდამ კიდევ ერთხელ სთხოვა მის ქვეყანაში აშშ-ისა და ნატოს სრულფასოვანი სამხედრო ბაზების აშენება. ასევე ითხოვენ გერმანიიდან ბირთვული შეიარაღების პოლონეთში გადატანას. შეძლებს თუ არა პოლონეთი, აჯობოს გერმანიას, საფრანგეთს, ბრიტანეთს და გახდეს ევროპის ლიდერი, მომავალში გამოჩნდება.

ფედერალურ კრებასა და მოსახლეობას, ტრადიციულად, ყოველწლიური ანგარიშით გაზაფხულობით მიმართავს ხოლმე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი. მოხსენების მთავარი გზავნილი რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება გახდა — შეაჩეროს აშშ-სთან ბირთვული და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის კონტროლის ხელშეკრულება. პუტინის თქმით: „...გვაქვს ინფორმაცია, რომ აშშ აპირებს ღია სივრცეში ახალი ბირთვული იარაღის გამოცდას. ჩვენ დაველოდებით. თუ ასე მოხდა, შესაბამისად ვუპასუხებთ". უნდა აღინიშნოს, რომ ბაიდენმა გაპრეზიდენტებისთანავე გააგრძელა ზემოააღნიშნული შეჩერებული ხელშეკრულება, რომლის არსებობაც ახლა უკვე სათუო გახდა. პუტინის განცხადებისთანავე, რუსეთი გაზრდის და გააძლიერებს ბირთვულ ტრიადას, ავიაციას, სამხედრო-საზღვაო ფლოტს.

საყურადღებოა კიდევ ერთი ფაქტი — რუსეთმა უკვე დატოვა ევროსაბჭო. ახლა კი შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმებიდან თუ არ გავა, დროებით მაინც აღარ შეასრულებს ვალდებულებებს. ამ გარემოებამ მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში, ფაქტობრივად, განგაში გამოიწვია. ჯო ბაიდენის განცხადებით: „...ხელშეკრულებიდან გასვლა შეცდომაა. თუმცა, არა მგონია, რუსეთმა ბირთვული იარაღი გამოიყენოს". იენს სტოლტენბერგს იმედი აქვს, რომ პუტინი საკუთარ გადაწყვეტილებას გადახედავს. რუსეთში ევროპის ბირთვული ქვეყნების — საფრანგეთისა და ბრიტანეთის მოქმედებას ელოდებიან. საერთოდაც, ცივი ომის დროსაც აკონტროლებდნენ ბირთვულ იარაღს საბჭოთა და ამერიკელი სპეციალისტები. სამწუხაროდ, ახლა უკვე ბირთვული შეიარაღების სფეროშია ქაოსი მოსალოდნელი.



უსაფრთხოების კონფერენციიდან რუსეთში ჩავიდა ჩინეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კურატორი ვან ი, რომელიც აქამდე მინისტრის პოსტს იკავებდა, ახლა დააწინაურეს. მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის გარდა, ვან ი პუტინსაც შეხვდა. ტრადიციულად, ჩინელი დიპლომატების ვიზიტის დეტალები ნაკლებად ვრცელდება. გამონაკლისი არც ახლანდელი ვიზიტი იყო. „...ჩვენმა თანამშრომლობამ გარეშე ძალების, დასავლეთის ქვეყნების ზეწოლას გაუძლო", — განაცხადა ვან ი-მ.

ცნობილია, რომ ჩინეთი უკრაინაში ცეცხლის უპირობო შეწყვეტის მომხრეა და მხარს უჭერს მოლაპარაკებების დაწყებას, რასაც აშშ-ში უარყოფენ. ჩინეთმა მოითხოვა, გაეროს უშიშროების საბჭოში დაიწყოს დამოუკიდებელი, ობიექტური გამოძიება გაზსადენების აფეთქებასთან დაკავშირებით. მათი განცადებით, შემთხვევითი ადამიანების ჯგუფი, ორგანიზაცია ვერ განახორციელებდა მსგავს ტერაქტს რომელიმე სახელმწიფოს დახმარების გარეშე. სავარაუდოდ, ვან ი-ს რუსეთში ჩასვლა ჩინეთის მმართველის, სი ძინპინის მოსკოვში დაგეგმილი ვიზიტის ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი გახლდათ.

სკანდალური გაგრძელება მოჰყვა კიევში ბაიდენის მოულოდნელად ჩასვლას. განსაკუთრებით რესპუბლიკელები აკრიტიკებენ პრეზიდენტს უკრაინელების გულუხვი დახმარების გამო მაშინ, როცა ოჰაიოს შტატის პატარა ქალაქი ეკოლოგიური კატასტროფის წინაშეა. ქიმიური ნივთირებებით დატვირთული მატარებელი ერთი თვის წინ გადაბრუნდა. ტვირთის მეპატრონემ გაწმენდის ნაცვლად, მას ცეცხლი წაუკიდა, რამაც კატასტროფული შედეგი გამოიღო. ფედერალური ხელისუფლების განცხადებით, მოსახლეობისთვის დასახმარებელი თანხა არ აქვთ. სამაგიეროდ, კატასტროფის ადგილზე (ხელისუფლებისა და დემოკრატებისგან განსხვავებით) ჩავიდა დონალდ ტრამპი და დაზარალებულებს წყალი და სხვა საჭირო ნივთები ჩაუტანა, უკან კი პოლიტიკური ქულები წამოიღო.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# რა უნდა ვიცოდეთ, თუ სოციალური ქსელის მეშვეობით ჩვენი თანხმობის გარეშე ფოტოსურათს ან ვიდეოს გამოგვიქვეყნებენ

ამჯერად Facebook-ის სამართლებრივ მხარეზე ვისაუბრებთ და სერგო ჯორბენაძის მედისამართლის“ ნაშრომზე დაყრდნობით მიმოვიხილავთ, რა უნდა იცოდეს მოქალაქემ ფეისბუკის მოხმარების დროს, არის თუ არა დასჯადი, მაგალითად, ნებართვის გარეშე სხვისი ფოტოსურათის ან ვიდეოს ატვირთვა და როგორ დავიცვათ თავისი ამგვარი არასასურველი ქმედებებისგან?

წიგნის, „მედიასამართალი“ ავტორები თავის დაცვის კონკრეტულ გზებს გვთავაზობენ.

ნებადართულია თუ არა ვებგვერდზე პიროვნების ფოტოებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება საჯაროდ მისი თანხმობის გარეშე?

**„სამოქალაქო პირი დაპატიჟებული იყო ერთ-ერთი რესტორნის გახსნაზე, სადაც მას ფოტოები ისე გადაუღეს, რომ არც გააფრთხილეს. შემდეგ რესტორანმა აღნიშნული ფოტოები გამოაქვეყნა ვებგვერდსა და თავის სოციალურ ქსელში და მათი ხელმისაწვდომობა შესაძლებელი გახდა Google-ს საშუალებით. ვის უნდა უჩივლოს პირმა, რომელსაც არ სურდა ამ ღონისძიების თაობაზე გადაღებულ ფოტოებზე გამოჩენა? რესტორანს ვერ უჩივლებს პირი იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს იურიდიულ პირს და მას უშუალოდ არ გადაუღია ფოტოსურათები. ამ შემთხვევაში შეიძლება კითხვა ასე დაისვას: ფოტოგრაფი, რომელიც ფოტოს გადაღების უფლებამოსილებით იყო აღჭურვილი, შეიძლება გახდეს პასუხისმგებელი თავისი მოქმედებისთვის? იგი ხომ თავის საქმიანობას ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა, ხოლო ხელშეკრულება არ იყო კანონის ნორმათა დარღვევით დადებული. შესაბამისად, აღნიშნულ ასპექტში პრობლემა ვერ გადაიჭრება. მეორე კუთხით თუ შევხედავთ საკითხს, იურიდიულმა პირმა თავის ვებგვერდზე განათავსა ფოტოსურათები. აქ შესაძლებელია პარალელის გავლება საინფორმაციო საშუალების მიერ შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებასთან. ორივე შემთხვევაში მსჯელობის საგანია ის, თუ ვის უნდა დაევალოს ფოტოსურათის აღება ვებგვერდიდან – მის დამდებს, ანუ იურიდიულ პირის თანამშრომელს, თუ იურიდიულ პირს? ან, ვის უნდა დაევალოს ინფორმაციის ხელახლა გასაჯაროება: იურიდიულ პირს (მედიასაშუალებას), თუ მის თანამშრომელს (დირექტორს, საინფორმაციო სამსახურის უფროსს, ჟურნალისტს და სხვ.). ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცალსახად, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, შეუძლებელია, თუმცა ანალოგიის გზით შეიძლება ითქვას შემდეგი: მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-6 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „დაინტერესებულ პირს საწყისი განცხადების გაკეთებიდან, მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან 10 დღის ვადაში უფლება აქვს, მოსთხოვოს შესაბამის მაუწყებელს საწყის განცხადებაში მოცემული მცდარი ფაქტის თანაზომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა […]“.**

**ასეთი დათქმის მიხედვით, თუ პარალელს გავავლებთ მოცემულ მაგალითთან, ფოტოსურათის აღების ვალდებულება დაეკისრება იურიდიულ პირს, მაგრამ „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართ-**



**ველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, „მედიაში ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნებულ ცილისწამებასთან დაკავშირებული სასამართლო დავისას მოპასუხე მხარეა მედიის მესაკუთრე“. ასეთი დათქმა პირველი შემთხვევისგან განსხვავებით, რა იურიდიულ პირზე, არამედ მის მესაკუთრეზე მიუთითებს. თუმცა, აქაც შესაძლებელია ერთი ხარვეზის დანახვა: ვინ იქნება პასუხისმგებელი, თუ მედიის მესაკუთრე ასევე იურიდიული პირია? როგორც განხილული საკითხებიდან იკვეთება, ჩნდება წარმოდგენილი სამართლებრივი ნორმების კონკურენციისა და ურთიერთმიმართების პრობლემა. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სასამართლოში შესაბამისი სარჩელის წარდგენისას მოპასუხე მხარედ დაყენებულ უნდა იქნას პირი, რომელიც აშუქებს კონკრეტულ ინფორმაციას, ან, მაგალითიდან გამომდინარე, ასაჯაროებს ფოტოსურათს.**

ამ შემთხვევიდან და მოცემული იურიდული ლაბირინთებიდან კონკრეტულად ის გავიგეთ, რომ ფოტოსურათის უნებართვოდ გასაჯაროებისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრა რესტორანს, რომელმაც პირის ნებართვის გარეშე ატვირთა ის, მაგრამ ყველაზე საინტერესო განმარტებას ფეისბუკის, როგორც ერთ ერთი პოპულარული სოციალური ქსელის შესახებ მაინც საქართველოს უზენაესი სასამართლო გვთავაზობს:

**„სოციალური ქსელი არის პლატფორმა, გამიზნული ონლაინ სოციალური კავშირის შესაქმნელად იმ ადამიანებისგან, რომლებსაც აქვთ საერთო ინტერესები, საქმიანობის სფერო, ჰობი ან რეალური, ცხოვრებისეული კავშირი (ოჯახური, ნათესაური, სამსახურებრივი და ა.შ.). თითოეული სოციალური ქსელი შედგება მომხმარებლის წარმომადგენლობისაგან (ე.წ. „პროფაილი“), მისი კავშირებისა და დამატებითი სერვისებისაგან. ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი და პოპულარული სოციალური ქსელი არის „ფეისბუქი“, რომელიც მსოფლიო მასშტაბით მილიონობით მომხმარებელს აერთიანებს. „ფეისბუქზე“ კონკრეტული მომხმარებლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი ხდება მასთან დამეგობრებული პირებისთვის, ან ყველა მომხმარებლისთვის, ავტორის არჩევანის შესაბამისად. ინფორმაციასთან დაშვებულ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია ამ ინფორმაციის გაზიარება თავისი კონტაქტებისთვის თუ პირთა განუსაზღვრელი წრისათვის, ასევე ციტირება პირად საუბარში, პრესასა და ინტერნეტგამოცემებში. სოციალური ქსელის სწორედ ამ თვისებების გათვალისწინებით, კონკრეტული მომხმარებლის მიერ ე.წ. სტატუსის თუ კომენტარის გამოქვეყნება, ინფორმაციის საჯაროდ გავრცელებად უნდა შეფასდეს“.**

ასე რომ, თუ ნებისმიერი პირი არასწორ ინფორმაციას ასაჯაროებს, ან აზიარებს, შესაძლებელია, უნებლიედ იქცეს დამნაშავედ, როგორც დაუზუსტებელი ინფორმაციის გამავრცელებელი.

**ლევან ჭიღლაძე**
555 74 04 45

ძვირფას მეგობრებს, ტრადიციულად, ყოველწლიურად ვულოცავთ ხოლმე დაბადების დღეს. თუმცა, არიან ადამიანები, რომლებიც 29 თებერვალს დაიბადნენ და საკუთარ დღეობას ოთხ წელიწადში ერთხელ აღნიშნავენ. ასეთ ადამიანებს ზოგჯერ „უკულმართებსაც“ ეძახიან, მაგრამ ჩვენი ლევან ჭიღლაძე მათ არ განეკუთვნება. გულისხმიერი, თბილი, კეთილშობილი ადამიანია, პროფესიონალი, ქართული ტრადიციების მიმდევარი და კიდევ ბევრი დადებითი თვისების მატარებელი.

ვულოცავთ ლევანს დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, ბედნიერებას და წარმატებებს ვუსურვებთ!

მრავალჟამიერ, ლევან!

„საერთო გაზეთი“



# სესხისა და იპოთეკის ინსტიტუტების გაუქმებამ კერძო პირებში თაღლითების სასარგებლოდ „იმუშავა“

საზოგადოება შეძრა აღსრულების „ეროვნული“ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან სისასტიკით გამორჩეულმა გამოსახლებამ, რომელიც თბილისში, ლავრენტი არდაზიანის ქუჩის 2 ნომერში, გიგაურების ოჯახში მოხდა. როგორც ცნობილია, გენერალურმა პროკურატურამ აღსრულების ეროვნული პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ძალის გადამეტების გამო გამოძიება დაიწყო.

გამოსახლების პრობლემა, რომელსაც წინ თაღლითობა და მოტყუება უძღვის, ფაქტობრივად და სამართლებრივად სერიოზულ განხილვას მოითხოვს. როგორც გიგაურების ოჯახის წევრმა ტელეინტერვიუში განაცხადა, მათ მევახშემ ხელშეკრულებაზე მოტყუებით მოაწერინა ხელი და თაღლითური გზით 5 000 აშშ დოლარის სანაცვლოდ, ქონების მესაკუთრე გახდა და საბოლოოდ უარი განაცხადა ნამდვილი მესაკუთრისათვის ბინის დაბრუნებაზე.

მევახშეთა ქცევის წესები საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია. ისინი დღემდე არ შეცვლილა. მაგალითად, ის, რომ არაკეთილსინდისიერმა გამსესხებელმა დასაწყისშივე იცის, რომ სესხი ოფიციალურად ნოტარიულად აღარ გაიცემა; აკრძალულია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების გაფორმება კერძო პირებისთვის და, შედეგად, თანახმაა, მსესხებელთან,რომელსაც ძალიან უჭირს და სხვა გზა აღარ დარჩენია, კანონდარღვევით, სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად გააფორმოს ყიდვა-გამოსყიდვის ხელშეკრულება, რომლის სავალალო რეზულტატი ასეთია: თუ მსხესხებლი გამოსყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ვალს დათქმულ ვადაში არ/ვერ დააბრუნებს, იმავე ხელშეკრულებით ქონება ე. წ. მევახშის სახელზე რეგისტრირდება და ის სრულუფლებიანი მესაკუთრე ხდება. ახალ მესაკუთრეს კი სრული უფლება აქვს, აღსრულების პოლიციისა და სასამართლოს დახმარებით ნამდვილი მფლობელები გამოასახლოს.

სწორედ ამგვარი თამაშის წესებს ჰქონდა ადგილი გიგაურების შემთხვევაშიც. არაკეთილსინდისერ გამსესხებლებს ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ: რაც შეიძლება იაფად ჩაიგდონ ხელში სხვისი საკუთრება.

სამწუხაროდ, გიგაურების მსგავსად დაზარალებულთა გრძელი სია გვაქვს. თაღლითებს ყველგან ერთი ხელწერა აქვთ. ასეთივე „სქემით“ დაკარგა საკუთრება დალი გოგიჩაშვილის ოჯახმაც, რომლის გამოსახლებაც სოფელ გლდანში აღსრულების პოლიციის მხრიდან გიგაურების მსგავსი სისასტიკით განხორციელდა.

როგორც აღვნიშნეთ, გიგაურების ოჯახზე აღსრულების პოლიცილთა მხრიდან ძალის გადამეტების გამო გენერალურმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო. მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. უნდა გამკაცრდეს საკანონმდებლო რეგულაციები. მაგალითად, ცვლილება უნდა შევიდეს სამოქალაქო კოდესში, რომლის მიხედვითაც, თუ არსებობს ფაქტები, მტკიცებულებები და აშკარაა, რომ მევახშეს სხვისი საკუთრების ხელში ჩაგდების ერთდერთი მიზანი ამოძრავებს, მოსამართლეს უნდა მიეცეს, საკანონმდებლო უფლება გამოსცეს შესაბამისი განჩინება, შეაჩეროს საქმის განხილვა და საქმე მოკვლევისათვის გადაუგზავნოს გამოძიებას. ეს საკანონმდებლო იდეა არ მოდის მხოლოდ თეორიდაან, თავად მოსამართლეები აცხადებენ პრეტენზიას, რომ უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის (გამოსახლების) შესახებ სარჩელებზე კანონი მათ მეტ საშუალებას არ აძლევს! ახლანდელი რეგულაციის მიხედვით, სასამართლოში მევახშის ნების დასაკმაყოფილებლად საკმარისია მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი. მაგრამ რა ფაქტები უძღვოდა წინ ამ ყველაფერს და როგორ იქცა მევახშე მესაკუთრედ, დღეს მოქმედ კანონს ეს არ აინტერესებს. თუ ე. წ. მევახშეს ეცოდინება, რომ მხოლოდ ფორმალური კი არა, არამედ კრიტიკული სამსჯავრო ელოდება, ის აღარ შეეცდება უკანონო გზით სხვისი საკუთრების ხელში ჩაგდებას.

ფაქტია, რომ სესხისა და იპოთეკის ინსტიტუტის გაუქმებამ კერძო პირებისათვის სავალალო შედეგი გამოიღო და არსებობს საშიშროება, რომ თაღლითებისა და მევახშეების მსხვერპლი კიდევ არაერთი ოჯახი აღმოჩნდეს.

**ლევან ჭიღლაძე**
555 74 04 45



# დიდმარხვა

მართლმადიდებელ ეკლესიაში „დიდმარხვად“ წოდებულია მარხვა, რომელიც აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს წინ უძღვის. აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. მისი აღნიშვნის დრო ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ დაადგინა. ამ დადგენილებით, აღდგომის დღესასწაული გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობის) შემდგომ, პირველი სავსემთავარეობის მომდევნო კვირას აღინიშნება (იუდეველთა პასექის შემდგომ, უთუოდ მისგან განცალკევებით, კვირის ბოლოს). ეს ხდება ახალი სტილით 4 აპრილიდან 8 მაისამდე პერიოდში (ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე). რადგან აღდგომის დღესასწაული მოძრავია, დიდმარხვაც მოძრავია.

საინტერესოა თავად სახელწოდება — „დიდმარხვა“. ის ეკლესიაში არსებულ სხვა მარხვათა შორის ყველაზე ხანგრძლივია და 48 დღეს გრძელდება. ეს მარხვა დიდია იმითაც, რომ ყველაზე დიდი დღესასწაულის — აღდგომის პატივსაცემადაა დაწესებული.

ზოგადად, მარხვა რჯულზე უფრო ძველია. ის პირველად თვით სამოთხეში დაუწესა ღმერთმა ადამიანს. ადამიანისადმი მიმართული პირველი მცნება იყო: ხისაგან მისა საცნაურისა კეთილისა და ბოროტისა არა ჭამა (დაბ.2,17). ადამიანს ეს მცნება რომ არ დაერღვია, დღეს მარხვა საჭირო აღარ იქნებოდა.

მარხვა ეკლესიური ადამიანისთვის თვითმიზანი არ არის. ის საშუალებაა, რათა ხორციელის გარკვეული დათრგუნვით სული განიწმინდოს, შინაგანი სამყარო გაამშვენიეროს. ძველი და ახალი აღთქმა ცხადჰყოფს მარხვის გამწმენდ ძალას. წინასწარმეტყველი მოსე მარხვის წყალობით მიეახლა წმინდა მთას (გამოსვლ. 24, 18). წმიდა ბასილი დიდი ამბობს, რომ მარხვის გარეშე მოსე უფალს ვერ დაელაპარაკებოდა, ვერ მიიღებდა მისგან ქვის ფიცარზე დაწერილ ათ მცნებას.

სამუელ წინასწარმეტყველი მშობლებს მარხვისა და ლოცვის წყალობით შეეძინათ (I მეფ. 1, 13-20). სამსონიც მარხვამ აქცია უძველესად (საჯ. 13,14). ილია წინასწარმეტყველი ორმოცი დღის მარხვის შემდეგ ქორების მთაზე უფლის ხილვის ღირსი გახდა.

წინასწარმეტყველმა დანიელმა სამი შვიდეულის მანძილზე არც პური ჭამა და არც წყალი სვა. როდესაც იგი ლომებით სავსე ორმოში ჩააგდეს, მხეცებმა მარხვით გამოწრთობილ მის სხეულს როგორც რამ ქვასა და რკინას, პირიც ვერ დააკარეს. მარხვის მადლმა მათ პირი აუკრა.

წმიდა მამები გვასწავლიან, რომ მარხვა ის სათნოებაა, რომელიც განამშვენებს ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ყოველი კეთილი საქმის წინამძღვარია.

თვით განკაცებულმა მაცხოვარმაც ორმოცი დღე იმარხულა, რათა ჩვენთვის ესწავლებინა, თუ როგორ უნდა გამოვიწრთოთ თავი. მარხვა არამხოლოდ სათნოებაა, არამედ იარაღია ეშმაკის წინააღმდეგაც, რადგან დემონთა სიმრავლე, სახარების მიხედვით, სხვა არაფრით განიდევნება, თუ არა ლოცვითა და მარხვით (მარკ.12,10).

აღსანიშნავია, რომ მარხვა მხოლოდ საჭმლისგან თავის შეზღუდვას როდი ნიშნავს. ის, აგრეთვე, გულისხმობს ბოროტი ვნებებისგან თავის შეკავებას, ბილწ ჩვეულებათა აღმოფხვრას, კეთილი საქმეების სიმრავლეს და სათნოებებში წარმატებას.

დიდმარხვა ღვთისგან განსაკუთრებული მადლითაა აღვსილი. ის მორწმუნე ადამიანის სულში სინანულის გრძნობას აძლიერებს, რასაც ეხმიანება, აგრეთვე, სპეციალური ლოცვები, რომლებიც დიდმარხვის განმავლობაში იკითხება. მაგალითად, წმ. ეფრემ ასურის სინანულის ლოცვა შესაბამისი მეტანიებით (მეტანია ამ შემთხვევაში ქედდადრეკით ან დაჩოქებით უფლის თაყვანისცემას გულისხმობს).

დიდმარხვა გამოირჩევა ღვთისმსახურების განსაკუთრებული ციკლითაც, აღესრულება როგორც წმ. იოანე ოქროპირის, ასევე წმ. ბასილი დიდის ჟამისწირვა. ასევე, პირველშეწირულის ლიტურგია.



დიდმარხვაში შაბათი დღეები მიცვალებულთა ხსენების დღედ არის გამოცხადებული. ამის გამო აღესრულება შესაბამისი ღვთისმსახურება, როგორიცაა დიდი პანაშვიდი.

დიდმარხვის დღეებს ყოველთვის ემთხვევა ხარებისა და ბზობის დღესასწაული, რომლებიც უმეტესწილად თევზით არის ხსნილი. ხარებით ვზეიმობთ გაბრიელ მთავარანგელოზის ხარებას ღვთისმშობლისადმი, როცა მას ეხარა, რომ მისგან იშვებოდა მაცხოვარი — იესო ქრისტე. ბზობით აღინიშნება ის დღე, როცა უფალი ჯვარცმის წინ იერუსალიმში შევიდა და ხალხი მას თაყვანისცემის ნიშნად გზაზე საკუთარ ტანსაცმელსა და პალმის რტოებს უფენდა.

ხარება არ არის მოძრავი დღესასწაული და ახალი სტილით 7 აპრილს აღინიშნება, ხოლო ბზობის დღე აღდგომის წინა კვირაა. დღეებს ბზობიდან აღდგომამდე „ვნების შვიდეულს“ უწოდებენ, რადგან ამ დღეებში მაცხოვარი ჩვენი ცოდვებისათვის ევნო (ეწამა).

მართლმადიდებელი ეკლესია განსაკუთრებული ღვთისმსახურებათა ციკლით იხსენებს იესო ქრისტეს ტანჯვა-წამებას. ოთხშაბათს იუდამ უფალი 30 ვერცხლად გასცა. ხუთშაბათს, რომელსაც „დიდი ხუთშაბათი“ ეწოდება, უფალმა საიდუმლო სერობაზე დააწესა ზიარების საიდუმლო (ზიარების საიდუმლო ეწოდება პურისა და ღვინის ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაქცევას). ამ დღესვე გადასცა იუდამ უფალი დამსჯელებს.

პარასკევს, რომელსაც „დიდი პარასკევი“ ეწოდება, იესო ქრისტე ტანჯვა-წამების შემდეგ ჯვარს აცვეს. დიდ პარასკევს ზოგჯერ „წითელ პარასკევს“ უწოდებენ, ალბათ, იმიტომ, რომ ამ დროს დაიღვარა მაცხოვრის სისხლი.

პარასკევს იესო ქრისტე ჯვრიდან გარდამოხსნეს და საფლავში დაასვენეს. ეკლესიაში დღის 2 საათზე ტაძრის გარშემო შემოატარებენ „გარდამოხსნას“ („გარდამოხსნა“ არის ტილო, რომელზეც გამოსახულია ჯვრიდან ჩამოხსნილი მაცხოვარი და მასზე მოტირალნი) იმის მოსახსენიებლად, თუ როგორ გლოვობენ ჯვარცმულ იესოს. ამ მოხსენიებით ეკლესიის მრევლიც უერთდება ჯვარცმასთან დაკავშირებით არსებულ დიდ გულისტკივილს.

შაბათს იკითხება სპეციალური კანონი „ღვთისმშობლის ტირილი“.

კვირას განთიადისას უფალი აღსდგა. ეკლესიაში ამ დღესასწაულთან დაკავშირებით კვერცხებს წითლად ღებავენ. გადმოცემის მიხედვით, წმ. მარიამ მაგდალინელმა ტიბერიუს კეისარს თეთრი კვერცხები მიართვა და ქრისტიანობა უქადაგა. კვერცხები მოულოდნელად გაწითლდა. სწორედ ამის აღსანიშნავად ღებავენ კვერცხებს.

განუზომელია დიდმარხვის მნიშვნელობა. წმიდა ბასილი დიდის თქმით, მარხვის სათნოება სასუფევლის ტაბლას უმზადებს ადამიანს და შინაგან სამყაროს განაახლებს. ლოცვას ცად აამაღლებს და სხეულსა და სულს სიმართლეს მიანიჭებს.

**მოამზადა**
**თამარ შველიძემ**

---

**თითქმის ექვსი ათწლეულის შემდეგ ქართველმა კალათბურთელებმა კვლავ გაგვახარეს გულშემატკივრები.**

**დიახ, 1962 წელს თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებმა ესპანეთის „რეალი“ დაამარცხეს და ევროპის ჩემპიონთა თასი მოიპოვეს. ქართველი სპორტსმენები — ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია ასპარეზობდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და ორჯერ გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები. ნიკოლოზ დერიუგინი კი ერთ-ერთი ბოლო კალათბურთელია, რომელმაც 1982 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა...**

**წელს საქართველოს საკალათბურთო ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა, რაც უკვე დიდი წარმატებაა!**

**საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს ვულოცავთ მიღწეულ შედეგს და ვუსურვებთ, რომ ქართველი გულშემატკივრები კვლავაც ახალ-ახალი გამარჯვებებით გაეხარებინოთ!**




„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირისვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99